მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები

1. მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები (შემდგომში "სტანდარტული პირობები") შედგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონების შესაბამისად და არეგულირებს ოპერატორსა და აბონენტს შორის მომსახურებებისა და დამატებითი მომსახურებების ფარგლებში მხარეთა ურთიერთობებს.

1.2 მობილური სატელეფონო მომსახურება, უსადენო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება და ინტრანეტით ან ლოკალური ან გლობალური ინტერნეტით მომსახურება უსადენო ტექნოლოგიის საშუალებით აბონენტს მიეწოდება მხოლოდ ოპერატორსა და აბონენტს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებისა და წინამდებარე სტანდარტული პირობების საფუძველზე, ხოლო დამატებითი სატელეფონო მომსახურებები აბონენტს მიეწოდება წინამდებარე და დამატებითი მომსახურების პირობების საფუძველზე.

1.3 წინამდებარე სტანდარტული პირობების მოქმედების ფარგლებში მხარეებს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე სტანდარტული პირობებისა და ოპერატორსა და აბონენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მუხლების სათაურები მოცემულია მხოლოდ შინაარსის აღქმის მოხერხებულობისათვის და არ მოახდენს გავლენას მუხლების/პუნქტების განმარტებაზე. ამ სტანდარტული პირობების მიზნებისათვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა (ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული წინამდებარე სტანდარტული პირობებითა და ხელშეკრულებით, განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად):

2.1 **მომსახურება** – მობილური სატელეფონო მომსახურება, უსადენო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, ან/და ინტრანეტით, ან ლოკალური, ან გლობალური ინტერნეტით მომსახურება უსადენო ტექნოლოგიის საშუალებით, გარდა დამატებითი სატელეფონო მომსახურებებისა.

2.2 **მობილური სატელეფონო მომსახურება** – მობილური ტელეფონის საშუალებით განხორციელებული საუბარი.

2.3 **უსადენო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება** – უსადენო ფიქსირებული რადიოტელეფონის საშუალებით განხორციელებული საუბარი.

2.4 **ინტრანეტით ან ლოკალური, ან გლობალური ინტერნეტით მომსახურება უსადენო ტექნოლოგიის საშუალებით** – მომსახურება, რომელიც აბონენტს საშუალებას აძლევს, უსადენო ტექნოლოგიის გამოყენებით, იქონიოს წვდომა ინტრანეტის ქსელში ჩართულ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებთან, ან ლოკალურ (ქართულ ვებ რესურსებთან), ან გლობალურ კომპიუტერულ სატელეკომუნიკაციო ქსელთან (www) და მისი გამოყენებით მოახდინოს მონაცემთა და ელექტრონულ გზავნილთა მიღება-გადაცემა.

2.5 **დამატებითი სატელეფონო მომსახურება (დამატებითი მომსახურება)** – მომსახურებასთან მიბმული და მის საფუძველზე, სააბონენტო მოწყობილობის საშუალებით განხორციელებული, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ხმოვანი შეტყობინება, მუსიკალური შეტყობინება, მულტიმედიური შეტყობინება, გუნდური კავშირი, მობილური ჩათი, მობილური ინტერნეტი, GPRS ინტერნეტი, აუდიომაცნე, ნომრის დაფარვა (CLIR), დაფარული ნომრის ამოცნობა (CLIPOVR), ზარის გადატანა, ზარის ლოდინი, საკონფერენციო კავშირი, ზარის შეზღუდვა, ფაქსისა და მონაცემთა გადაცემა (FAX/DATA), ორნომრიანი სიმ-ბარათი, თანხის გადარიცხვა, პოლიფონიური მელოდიები, ნახატები, ანიმაციები, ლოგოები, თამაშები, საინფორმაციო მომსახურება, როუმინგი და სხვა მობილური საკომუნიკაციო მომსახურება, რომლის მიწოდებაც, აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ხორციელდება მომსახურებასთან ერთად.

2.6 **სატელეფონო (საკომუნიკაციო) ქსელი (ქსელი)** – ოპერატორის ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აბონენტებისათვის მომსახურების მიწოდებას.

2.7 **აბონენტი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისთანაც ოპერატორის მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება მობილური სატელეფონო მომსახურების, უსადენო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების, ან/და ინტრანეტით, ან ლოკალური, ან გლობალური ინტერნეტით მომსახურების შესახებ უსადენო ტექნოლოგიის საშუალებით და ამ მიზნით გამოყოფილი აქვს სააბონენტო ნომერი ან საიდენტიფიკაციო კოდი.

2.8 **სააბონენტო ნომერი** – ოპერატორის მიერ აბონენტისათვის, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი სატელეფონო ნომერი, რომელიც მიბმულია აბონენტის განსაზღვრულ სააბონენტო ანგარიშთან და რომლის მეშვეობითაც ხორციელდება აბონენტის სატელეფონო ქსელში ჩართვა, მისი იდენტიფიკაცია და აბონენტისათვის მომსახურების მიწოდება.

2.9 **სააბონენტო გადასახდელი** – ოპერატორის მიერ კონკრეტული საანგარიშო პერიოდისათვის აბონენტისათვის დაწესებული ფიქსირებული გადასახდელი, რომლის ოდენობა არ არის დამოკიდებული მისაღები მომსახურების საფასურის ოდენობაზე.

2.10 **აბონენტის ტექნიკური მოწყობილობა (სააბონენტო მოწყობილობა)** – აბონენტის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ტექნიკური მოწყობილობა (ტელეფონის აპარატი, მოდემი ან სხვა სახის აპარატი), რომელიც იძლევა, ოპერატორის მიერ გამოყოფილი სიმ ბარათის მეშვეობით ან მის გარეშე, განსაზღვრული მომსახურების მიღების საშუალებას.

2.11 **ტრაფიკი** – სააბონენტო ნომრიდან/ნომერზე განხორციელებული სატელეფონო შეერთებების, მიღებული ან/და გადაცემული მულტიმედიური შეტყობინებების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, ან გადაცემულ მონაცემთა ერთობლიობა და აღნიშნული ოპერაციების ინიცირებით ოპერატორის ქსელის ელემენტებისა და ტექნიკური საშუალებების ჯამური დატვირთვა დროის განსაზღვრულ ინტერვალში.

2.12 **საბილინგო სისტემა** – მომსახურებისათვის აბონენტების მხრიდან ფულადი თანხების გადახდის ოპერაციებისა და აბონენტის მიერ მიღებული მომსახურებების მოცულობის დაანგარიშების ავტომატიზირებული სისტემა.

2.13 **ხელშეკრულება** – ოპერატორსა და აბონენტს შორის, ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად შედგენილი, წერილობითი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულება (მათ შორის აბონენტის მიერ ხელმოწერილი დამატებითი დოკუმენტაცია და წინამდებარე სტანდარტული პირობები) მომსახურების მიწოდების შესახებ.

2.14 **კოდური სიტყვა (კოდი)** – ოპერატორის მიერ განსაზღვრული წესით და ფორმით, აბონენტის მიერ მითითებული სიმბოლოების (ასოების და ციფრების) მიმდევრობის ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება აბონენტის იდენტიფიცირებისთვის და აბონენტის მიერ ოპერატორისაგან განსაზღვრული მომსახურებების სახეების ჩართვის, შეცვლის ან გამორთვისათვის.

2.15 **ქსელის დაფარვის ზონა** – ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც არსებობს მომსახურების მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობა.

2.16 **ქსელში ჩართვა** – ოპერატორის მომსახურება მის ქსელში წვდომის უზრუნველსაყოფად.

2.17 **სპამი** – არასასურველი ელექტრონული შეტყობინება, გზავნილი, მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მულტიმედიური შეტყობინება, რომელიც ქსელის გამოყენებით იგზავნება ან მიღებულია აბონენტის ან მესამე პირის მიერ ადრესატის წინასწარი თანხმობის გარეშე, ან რომელსაც შეცდომაში შეყავს ადრესატი აღნიშნული შეტყობინების ხასიათის ან მათი გამგზავნის შესახებ, ან ისეთი ელექტრონული გზავნილი, რომელიც არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

2.18 **გადახდის ბარათი** – განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდების განხორციელების საშუალება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნომინალის, სერიული ნომრის და საიდუმლო კოდის შესახებ.

2.19 **სიმ-ბარათი** – აბონენტისათვის, ოპერატორის მიერ, დროებით მფლობელობაში გადაცემული პერსონალური საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელიც უზრუნველყოფს აბონენტის ტექნიკური მოწყობილობის წვდომას(კავშირს) სატელეფონო ქსელთან და ასევე გამოყოფილი სააბონენტო ნომრის უნებართვო სარგებლობისაგან დაცვას.

2.20 **სააბონენტო ანგარიში** – ანგარიში ოპერატორის საბილინგო სისტემაში, სადაც აღირიცხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული აბონენტისათვის მიწოდებული მომსახურებ(ებ)ის და დამატებითი მომსახურებ(ებ)ის ჩამონათვალი, მოცულობა და აბონენტის მიერ განხორციელებული გადახდები.

2.21 **საიდენტიფიკაციო კოდი** – ამ სტანდარტული პირობების მიზნებისათვის, ცალკეული მომსახურების ფარგლებში ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გამოყოფილი კოდი, რომელიც მიბმულია ოპერატორის საბილინგო სისტემაში სააბონენტო ანგარიშს და რომლის მიხედვით ხდება აბონენტის (და/ან სააბონენტო მოწყობილობის) იდენტიფიკაცია.

2.22 **სიმ-ბარათის აქტივაცია** – სიმ-ბარათის ქსელში ფუნქციონალური ჩართვა, რომელიც მისი მეშვეობით მომსახურების მიღების საშუალებას იძლევა.

2.23 **სატარიფო გეგმა** – ოპერატორის მიერ დადგენილი ცალკეული მომსახურების, მათ შორის, დამატებითი მომსახურებ(ებ)ის ან მომსახურებათა ერთობლიობის მიწოდების პირობები, რომლებიც ასევე მოიცავს ანგარიშსწორების, ტარიფიკაციისა და საფასურის პირობებს.

2.24 **საანგარიშო პერიოდი** – დროის პერიოდი, რომელიც შეესაბამება ერთ კალენდარულ თვეს, თუ ოპერატორის მიერ ცალკეული მომსახურებების ფარგლებში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

2.25 **ოპერატორი** – შპს „მაგთიკომი"

2.26 **ოპერატორის წარმომადგენელი** – პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობის, ან სხვა სახის ქმედებები ოპერატორის სახელით.

2.27 **გადახდის სისტემა** – ოპერატორსა და აბონენტს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას განსაზღვრული, (გაწეული/გასაწევი) მომსახურებებისათვის დარიცხული და სატარიფო გეგმით განსაზღვრული საფასურის გადახდის მხარეთა შორის შეთანხმებული და ხელშეკრულებით დადგენილი წესი. თუ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ანგარიშსწორება ხორციელდება წინასწარი გადახდის სისტემის გამოყენებით.

2.28 **ნომრის ბლოკირება** – ცალკეული მომსახურების სისტემის ფარგლებში მომსახურების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვა (მათ შორის ცალკეული მომსახურებების მიღების შეზღუდვა), რომელიც ხორციელდება ოპერატორის მიერ აბონენტის მოთხოვნით.

2.29 **მომსახურების სისტემა** – მობილური სატელეფონო, უსადენო ფიქსირებული სატელეფონო ან/და ინტრანეტით ან ლოკალური ან გლობალური ინტერნეტით უსადენო ტექნოლოგიის საშუალებით მომსახურების ფარგლებში, ოპერატორის მიერ აბონენტებისთვის შეთავაზებული დამოუკიდებელი, სპეციფიკური და ერთი სახელწოდების(დასახელების) ფარგლებში გაერთიანებული მომსახურებების ერთობლიობა. მომსახურების სისტემის ფარგლებში მომსახურების მიწოდების წესები და პირობები განისაზღვრება 2.31 პუნქტში მითითებულ ოპერატორის ვებ-გვერდზე.

2.30 **როუმინგული მომსახურება (როუმინგი)** – მომსახურება, რომელიც საზღვარგარეთ ყოფნისას აბონენტს საშუალებას აძლევს, სხვა ოპერატორების (როუმინგ ოპერატორი) ქსელების გამოყენებით, ისარგებლოს მობილური სატელეფონო ან/და დამატებითი მომსახურებით. დეტალური ინფორმაცია იმ ადგილებისა და ოპერატორების შესახებ, სადაც აბონენტს შეუძლია ისარგებლოს როუმინგით ქვეყნდება ოპერატორის ვებ–გვერდზე.

2.31 **ოპერატორის ვებ-გვერდი** – ოპერატორის სახელზე რეგისტრირებული გლობალურ კომპიუტერულ სატელეკომუნიკაციო ქსელის (www) დოკუმენტი ან ინფორმაციული რესურსი, რომლის მისამართია www.magticom.ge; www.bali.ge; www.magtifix.ge; www.bani.ge.

2.32 **მხარეები** – ოპერატორი და აბონენტი, ერთობლივად მოხსენიებული.

2.33 **ინდივიდუალური შეტყობინება** – აბონენტის მიერ მითითებულ მისამართზე ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება ან სააბონენტო ნომერზე ან აბონენტის მიერ მითითებულ სხვა საკონტაქტო ნომერზე გაგზავნილი ხმოვანი ან მოკლე ტექსტური შეტყობინება ან ზეპირი სატელეფონო ხმოვანი შეტყობინება ან შეტყობინება გადაცემული სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, თუ შეტყობინება საჭიროებს აბონენტის მხრიდან ინფორმაციის მიღების ფაქტის დადასტურებას.

3. მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების წესები და პირობები

3.1 აბონენტის მიერ მომსახურების მიღების და ოპერატორის მიერ მომსახურების უზრუნველსაყოფად ფორმდება, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით, წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებას ხელი ეწერება, ოპერატორის მხრიდან – ოპერატორის წარმომადგენლის, ან სხვა, საამისოდ უფლებამოსილი, პირის მიერ, ხოლო აბონენტის მხრიდან – როგორც უშუალოდ დაინტერესებული პირის, ასევე ამ უკანასკნელის წარმომადგენლის ან იმ პირის მიერ, რომელიც სხვაგვარად უფლებამოსილია იმოქმედოს წარმოდგენილი პირის სახელით.

3.2 ხელშეკრულება ფორმდება ორ ან მეტ ეგზემპლარად და მიიჩნევა გაფორმებულად მხარეთა მიერ მისი ფიზიკურად ხელმოწერის მომენტიდან.

3.3 თუ გაფორმებული ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულება ფორმდება განუსაზღვრელი ვადით (უვადო ხელშეკრულება). განსაზღვრული ვადით გაფორმებული ხელშეკრულების (ვადიანი ხელშეკრულების) მოქმედების ვადა გრძელდება, ვადის ყოველი ამოწურვის შემთხვევაში, იმავე ვადითა და პირობებით, თუ მხარეები, ყოველი ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე, არ შეატყობინებენ ერთმანეთს მისი შეწყვეტის შესახებ. ვადიანი და უვადო ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია შეწყდეს ნებისმიერ დროს.

3.4 აბონენტის ინიციატივით ვადიანი ან უვადო ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებას უთანაბრდება, ასევე სააბონენტო ანგარიშზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში ფულადი თანხის შეუტანლობა (გადაუხდელობა) ან სააბონენტო ანგარიშზე არსებული დავალიანების დაუფარაობა.

3.5 წინამდებარე სტანდარტული პირობები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად. აბონენტის მიერ მომსახურებით სარგებლობა (მომსახურების მიღება) გულისხმობს აბონენტის მიერ წინამდებარე პირობებისადმი უპირობო თანხმობას.

3.6 ხელშეკრულება ფორმდება ფიზიკური ან იურიდიული პირის მხრიდან შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:

ფიზიკური პირი – პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი) ან ოპერატორის მიერ განსაზღვრული სხვა პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც შეიცავს ფიზიკური პირისათვის მინიჭებულ პირად ნომერს;

იურიდიული პირი – იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი მოქმედი ოფიციალური დოკუმენტი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი);

3.7 ოპერატორსა და აბონენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და წინამდებარე სტანდარტულ პირობებს შორის სხვაობების ან წინააღმდეგობების არსებობისას, უპირატესი ძალა ენიჭება და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

3.8 აბონენტსა და ოპერატორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი/განსაზღვრული აბონენტის უფლებები და ვალდებულებების მესამე პირზე გადაცემა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ოპერატორის თანხმობის შემთხვევაში და აბონენტის მხრიდან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების, მათ შორის მომსახურების სისტემის/სატარიფო გეგმის ფარგლებში წარმოშობილი ყველა არსებული დავალიანების დაფარვის შემთხვევაში. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების მესამე პირთათვის გადაცემისათვის ოპერატორს, აბონენტსა და დაინტერესებულ მესამე პირს შორის ფორმდება სამმხრივი შეთანხმება. შეთანხმება ძალაში შედის 3.2 პუნქტში განსაზღვრული წესით შეთანხმების სამმხრივი ხელმოწერის შემდგომ. აღნიშნულ შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეთანხმების გაფორმებისას, გადასცეს დაინტერესებულ მესამე მხარეს ოპერატორის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სიმ-ბარათი/სააბონენტო მოწყობილობა, სიმ-ბარათის/სააბონენტო მოწყობილობის პაროლები, კოდები, ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულების ეგზემპლარი და მოახდინოს მისი ინფორმირება შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

4. მომსახურების სახეობები, მოცულობა და მათი მიწოდების ზოგადი პირობები

4.1 მომსახურება და მისი სახეობები, მათ შორის დამატებითი მომსახურებების სახეები, მათი მიწოდების პირობები და მიღების შესაძლებლობა განისაზღვრება ოპერატორის მოქმედი ლიცენზიების, მომსახურების სისტემის, სატარიფო გეგმის, ქსელის დაფარვის ზონის და ქსელის შესაძლებლობების, საკომუნიკაციო საშუალებებისა და აბონენტის მოთხოვნის შესაბამისად. დამატებითი მომსახურებების ჩართვა და მათი მიწოდება ხორციელდება წინამდებარე და დამატებითი სტანდარტული პირობებისა და ოპერატორის მიერ დადგენილი ფორმით აბონენტის დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე.

მომსახურებების, მათ შორის ცალკეული დამატებითი მომსახურებების მიღების შესაძლებლობა, რომელსაც ოპერატორი აბონენტს სთავაზობს, ასევე დამოკიდებულია აბონენტის მფლობელობაში არსებულ სააბონენტო მოწყობილობაზე და მათ გამართულ ფუნქციონირებაზე, ხოლო როუმინგის შემთხვევაში, ცალკეული მომსახურებების მიღების შესაძლებლობა, ამასთან ერთად დამოკიდებულია როუმინგ ოპერატორების მოქმედ ლიცენზიებზე და მათი ქსელის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე.

4.2 აბონენტის მიერ მისაღები მომსახურების, მათ შორის დამატებითი მომსახურებების სახეობები განისაზღვრება აბონენტის მიერ არჩეული სატარიფო გეგმითა და აბონენტის მიერ ოპერატორისათვის ან/და მესამე პირთათვის შეკვეთილი სხვა დამატებითი მომსახურებების ერთობლიობით.

4.3 აბონენტისათვის გაწეული მომსახურებების მოცულობისა და ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ოპერატორის საბილინგო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით ან/და როუმინგის შემთხვევაში, სხვა ოპერატორების საბილინგო სისტემის მონაცემებით ოპერატორის მიერ განსაზღვრული ტარიფიკაციის ერთეულების მიხედვით.

4.4 წინასწარ გადახდილი ფულადი საავანსო თანხის ოდენობის, სატარიფო გეგმის პირობების და აბონენტის მიერ მიღებული, მათ შორის როუმინგის შემთხვევაში, მომსახურებების მიხედვით საბილინგო სისტემაში აისახება სააბონენტო ანგარიშზე არსებული ნაშთი (ბალანსი).

4.5 ბალანსის ოდენობა წარმოადგენს განზოგადებულ ინფორმაციას იმ მომსახურების მოცულობის შესახებ, რომელიც შესაძლებელია მიიღოს აბონენტმა (დადებითი ბალანსი) ან რომელიც მიიღო აბონენტმა მომსახურებისათვის წინასწარ გადახდილი ფულადი საავანსო თანხების სრულად გახარჯვის შედეგად(უარყოფითი ბალანსი). ფულადი საავანსო თანხის გადახდა(ჩარიცხვა) იწვევს სააბონენტო ანგარიშზე უარყოფითი ბალანსის შემცირებას ან დადებითი ბალანსის გაზრდას, მაშინ როცა ოპერატორის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურებისათვის საფასურისა და სააბონენტო გადასახდელის დარიცხვა იწვევს სააბონენტო ანგარიშზე უარყოფითი ბალანსის გაზრდას ან დადებითი ბალანსის შემცირებას. უარყოფითი ბალანსის გაზრდა ან დადებითი ბალანსის შემცირება წარმოებს მომსახურების საფასურის, ტარიფების, სააბონენტო გადასახდელის და მათში გათვალისწინებული გადასახადებისა და ოპერატორის მიერ აბონენტის მიმართ გამოყენებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში დარიცხული საურავის მიხედვით. სააბონენტო ანგარიშზე უარყოფითი ბალანსი წარმოადგენს აბონენტის დავალიანების მოცულობას ოპერატორის წინაშე.

4.6 სატელეფონო შეერთების ხანგრძლივობა, საბილინგო სისტემაში გამოიანგარიშება გამოძახებული პირის, ან სააბონენტო მოწყობილობის პასუხის პირველივე წამიდან, ზარის წამომწყები ან გამოძახებული პირის ან სააბონენტო მოწყობილობის სატელეფონო შეერთების გათიშვამდე. ამასთან ერთიანი, უწყვეტი ზარის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს.

სააბონენტო მოწყობილობებს, რომელთა საპასუხო სიგნალი უთანაბრდება გამოძახებული პირის პასუხს და წარმოადგენს სატელეფონო შეერთების ხანგრძლივობის გაანგარიშების დაწყებას, განეკუთვნება:

მონაცემთა გადაცემის აპარატურა, მათ შორის, მოდემი და ფაქსის აპარატი, რომელიც ფუნქციონირებს ინფორმაციის ავტომატურად მიღების რეჟიმში;

ნებისმიერი სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც აღჭურვილია ავტომოპასუხით;

ხმოვანი ფოსტის მოწყობილობა;

ნომრის ამომცნობი მოწყობილობა;

სხვა სახის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ან ახდენს ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობის იმიტაციას გამოძახებული პირის არარსებობისას.

4.7 მომსახურების ფარგლებში როუმინგი, როგორც დამატებითი მომსახურების სახეობა, აბონენტს მიეწოდება ოპერატორის მიერ განსაზღვრული ცალკეული მომსახურების სისტემის და სატარიფო გეგმის ფარგლებში, ოპერატორის მიერ დადგენილი პირობებისა და როუმინგის მიღების პერიოდისთვის როუმინგ ოპერატორის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

4.8 მომსახურების ფარგლებში საერთაშორისო კავშირი, როგორც დამატებითი მომსახურების სახეობა, აბონენტს მიეწოდება 4.10 პუნქტის პირობების გათვალისწინებით, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ცალკეული მომსახურების სისტემის და სატარიფო გეგმის ფარგლებში, ოპერატორის მიერ დადგენილი პირობების და აღნიშნული მომსახურების მიღების პერიოდისთვის ოპერატორის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

4.9 აბონენტის მიერ კონკრეტულ მომსახურების სისტემაში ჩართვა ან/და ნებისმიერი დამატებითი მომსახურების ჩართვა და მისი მიღება გულისხმობს აბონენტის უპირობო თანხმობას აღნიშნული მომსახურების სისტემის ფარგლებში, მომსახურებისა და დამატებითი მომსახურების მიწოდების პირობებზე.

4.10 აბონენტის მიერ მომსახურებებით, მათ შორის დამატებითი მომსახურებებით, ან საერთაშორისო კავშირით სარგებლობისას, ასევე როუმინგის შემთხვევაში, ოპერატორის მიერ გამოქვეყნებული ტარიფიკაციის, სატელეფონო შეერთებისა და მონაცემთა გადაცემის აღრიცხვის პირობები და საფასური დამოკიდებულია აბონენტის მიერ, ოპერატორის მხრიდან გამოქვეყნებული მომსახურებებით და დამატებითი მომსახურებებით სარგებლობის წესების მკაცრად შესრულებაზე და დაცვაზე. აღნიშნული წესების შეუსრულებლობის, მათ შორის აბონენტის მიერ მომსახურებით სარგებლობისას მომსახურების სხვა მიმწოდებლებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების კუთვნილი დაშვების კოდის ან რესურსის გამოყენების შემთხვევაში, იმოქმედებს გამოქვეყნებული ტარიფიკაციისგან, სატელეფონო შეერთებისა და მონაცემთა გადაცემის აღრიცხვისგან განსხვავებული პირობები და საფასური.

5. მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების პირობები

5.1 მობილური სატელეფონო მომსახურება(მომსახურება) აბონენტს მიეწოდება იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს გააჩნია: ა) სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს და ბ) ოპერატორის სიმ-ბარათი.

5.2 ხელშეკრულების ძალაში შესვლა გულისხმობს აბონენტის ოპერატორის ქსელში ჩართვას. აბონენტის ქსელში ჩართვა ხორციელდება მის მიერ ქსელში ჩართვის საფასურის გადახდის შემდეგ.

5.3 ქსელში ჩართვის უზრუნველსაყოფად ოპერატორი აბონენტს, გამოუყოფს სააბონენტო ნომერს (სააბონენტო ნომრებს) და სარგებლობის უფლებით, გადასცემს სიმ-ბარათს (სიმ-ბარათებს).

5.4 სიმ-ბარათის აქტივაცია და აბონენტის მიერ მომსახურების მიღება ხორციელდება:

– წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: აბონენტის მხრიდან სააბონენტო ანგარიშზე მომსახურებისთვის განსაზღვრული ფულადი (საავანსო) თანხის (დეპოზიტის) არსებობის შემთხვევაში.

– შემდგომი გადახდის სისტემის აბონენტებისთვის: აბონენტის მხრიდან, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, სააბონენტო გადასახდელისა და მომსახურების საფასურის შემდგომი გადახდის შემთხვევაში.

5.5 წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებისთვის: მომსახურების ფარგლებში ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში აბონენტს ეთიშება გამავალი ზარი და უნარჩუნდება შემომავალი ზარის განხორციელების შესაძლებლობა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. გამავალი ზარი აბონენტს ჩაერთვება, დავალიანების არსებობის შემთხვევაში მისი დაფარვისა და ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) სააბონენტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდგომ. ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში, თუ არ გაითიშა გამავალი ზარი, აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი საავანსო თანხის (დეპოზოტის) ზემოთ გაწეული მომსახურების საფასური.

5.6 შემდგომი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: სააბონენტო გადასახდელისა და მიღებული მომსახურების მოცულობის მიხედვით განსაზღვრული მომსახურების საფასურის (დავალიანების) გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს ეთიშება სააბონენტო ნომრიდან გამავალი ზარი და უნარჩუნდება შემომავალი ზარის განხორციელების შესაძლებლობა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. გამავალი ზარი აბონენტს ჩაერთვება, საანგარიშო პერიოდისათვის, სააბონენტო გადასახდელის და მიღებული მომსახურების მოცულობის მიხედვით დარიცხული/წარმოშობილი მომსახურების საფასურის (დავალიანების) გადახდის შემდგომ.

5.7 5.5 და 5.6 პუნქტებით განსაზღვრული გამავალი ზარის გათიშვა ავტომატურად იწვევს ცალკეული დამატებითი მომსახურებების შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევისა თუ ცალკეული დამატებითი მომსახურების საფასური აბონენტს აქვს წინასწარ გადახდილი.

6. უსადენო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიწოდების პირობები

6.1 უსადენო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება(მომსახურება) აბონენტს მიეწოდება იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს გააჩნია სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

6.2 ხელშეკრულების ძალაში შესვლა გულისხმობს აბონენტის ოპერატორის ქსელში ჩართვას. აბონენტის ქსელში ჩართვა ხორციელდება მის მიერ ქსელში ჩართვის საფასურის გადახდის შემდეგ.

6.3 ქსელში ჩართვის უზრუნველსაყოფად ოპერატორი აბონენტს გამოუყოფს სააბონენტო ნომერს და ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლებით გადასცემს სააბონენტო მოწყობილობას. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს გააჩნია ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს და თავსებადი იქნება ოპერატორის შეთავაზებული მომსახურებების მისაღებად, ოპერატორი აბონენტს გამოუყოფს მხოლოდ სააბონენტო ნომერს.

6.4 აბონენტის მიერ, მომსახურების მიღების მიზნით, ოპერატორის სააბონენტო მოწყობილობის ნაცვლად სხვა სააბონენტო მოწყობილობის გამოყენების შემთხვევაში ოპერატორი არ იძლევა გარანტიას მომსახურების ხარისხზე და მის ხელმისაწვდომობაზე.

6.5 აბონენტის მიერ მომსახურების მიღება ხორციელდება:

– წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: აბონენტის მხრიდან სააბონენტო ანგარიშზე მომსახურებისათვის განსაზღვრული ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) არსებობის შემთხვევაში.

– შემდგომი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: აბონენტის მხრიდან, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, სააბონენტო გადასახდელის და მომსახურების საფასურის შემდგომი გადახდის შემთხვევაში.

6.6 წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: მომსახურების ფარგლებში საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში აბონენტს ეთიშება გამავალი ზარი და უნარჩუნდება შემომავალი ზარის განხორციელების შესაძლებლობა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. გამავალი ზარი აბონენტს ჩაერთვება, დავალიანების არსებობის შემთხვევაში მისი დაფარვის და ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) სააბონენტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდგომ. ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში, თუ არ გაითიშა გამავალი ზარი, აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი საავანსო თანხის (დეპოზოტის) ზემოთ გაწეული მომსახურების საფასური.

6.7 შემდგომი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: სააბონენტო გადასახდელისა და მიღებული მომსახურების მოცულობის მიხედვით განსაზღვრული მომსახურების საფასურის (დავალიანების) გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს ეთიშება სააბონენტო ნომრიდან გამავალი ზარი და უნარჩუნდება შემომავალი ზარის განხორციელების შესაძლებლობა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. გამავალი ზარი აბონენტს ჩაერთვება, საანგარიშო პერიოდისთვის, სააბონენტო გადასახდელის და მიღებული მომსახურების მოცულობის მიხედვით დარიცხული/წარმოშობილი მომსახურების საფასურის (დავალიანების) გადახდის შემდგომ.

6.8 6.6 და 6.7 პუნქტებით განსაზღვრული გამავალი ზარის გათიშვა ავტომატურად იწვევს ცალკეული დამატებითი მომსახურებების შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევისა თუ ცალკეული დამატებითი მომსახურების საფასური აბონენტს აქვს წინასწარ გადახდილი.

7. ინტრანეტით ან ლოკალური ან გლობალური ინტერნეტით უსადენო ტექნოლოგიის საშუალებით მომსახურების მიწოდების პირობები

7.1 ინტრანეტით ან ლოკალური ან გლობალური ინტერნეტით მომსახურება (მომსახურება) უსადენო ტექნოლოგიის საშუალებით აბონენტს მიეწოდება იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს გააჩნია სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

7.2 ხელშეკრულების ძალაში შესვლა გულისხმობს აბონენტის ოპერატორის ქსელში ჩართვას. აბონენტის ქსელში ჩართვა ხორციელდება მის მიერ ქსელში ჩართვის საფასურის გადახდის შემდეგ.

7.3 ქსელში ჩართვის უზრუნველსაყოფად ოპერატორი აბონენტს გამოუყოფს საიდენტიფიკაციო კოდს და სარგებლობის უფლებით გადასცემს სააბონენტო მოწყობილობას.

7.4 აბონენტის მიერ, მომსახურების მიღების მიზნით, ოპერატორის სააბონენტო მოწყობილობის ნაცვლად სხვა სააბონენტო მოწყობილობის გამოყენების შემთხვევაში ოპერატორი არ იძლევა გარანტიას მომსახურების ხარისხზე და მის ხელმისაწვდომობაზე.

7.5 აბონენტის მიერ მომსახურების მიღება ხორციელდება:

– წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: აბონენტის მხრიდან სააბონენტო ანგარიშზე მომსახურებისათვის განსაზღვრული სააბონენტო გადასახდელის და მომსახურების საფასურის წინასწარი გადახდის შემთხვევაში.

– შემდგომი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: აბონენტის მხრიდან, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, სააბონენტო გადასახდელისა და მომსახურების საფასურის შემდგომი გადახდის შემთხვევაში.

7.6 წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: მომსახურების ფარგლებში სააბონენტო გადასახდელის გადახდიდან, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სააბონენტო გადასახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს ეზღუდება მომსახურება. მომსახურება აბონენტს განუახლდება, დავალიანების არსებობის შემთხვევაში, მისი დაფარვის და სააბონენტო გადასახდელის სააბონენტო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ არ შეიზღუდა მომსახურება, აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს სააბონენტო გადასახდელის ზემოთ გაწეული მომსახურების პროპორციული საფასური.

7.7 შემდგომი გადახდის სისტემის აბონენტებისათვის: სააბონენტო გადასახდელისა და მიღებული მომსახურების მოცულობის მიხედვით განსაზღვრული მომსახურების საფასურის (დავალიანების) გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს ეზღუდება მომსახურება. მომსახურება აბონენტს განუახლდება, საანგარიშო პერიოდისთვის, სააბონენტო გადასახდელისა და მიღებული მომსახურების მოცულობის მიხედვით დარიცხული/წარმოშობილი მომსახურების საფასურის (დავალიანების) გადახდის შემდგომ.

7.8 ოპერატორი უზრუნველყოფს მომსახურებას ოპერატორის მიერ გამოცხადებული სიჩქარის ფარგლებში და შეთავაზებული მომსახურების ადეკვატურობას მიღებულ მომსახურებასთან, მაგრამ არ იძლევა გარანტიას, რომ გამოცხადებული სიჩქარის ფარგლებში შეერთება იქნება მაქსიმალური. გამოცხადებულ მომსახურებასა და მიღებულ მომსახურებას შორის შეუსაბამობის წარმოშობის შემთხვევაში ოპერატორი უზრუნველყოფს შესაბამისი ზომების მიღებას შეუსაბამობის დროული, ჯეროვანი და სრული აღკვეთის მიზნით.

8. ტარიფები და მომსახურების საფასური

8.1 ქსელში ჩართვისა და მომსახურების, მათ შორის დამატებითი მომსახურების საფასური, ტარიფები, მათ შორის, სააბონენტო გადასახდელი განისაზღვრება ოპერატორის მიერ განსაზღვრული მომსახურების სისტემისა და სატარიფო გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ ტარიფებს ოპერატორი აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე.

8.2 მომსახურების საფასური განისაზღვრება სატარიფო გეგმის მიხედვით განსაზღვრული სატელეფონო შეერთების რაოდენობების, სატელეფონო შეერთების ხანგრძლივობის, მომსახურებების (მათ შორის, დამატებითი მომსახურებების) ჩართვის მოთხოვნების ოდენობის, შემომავალი, გამავალი, გადაცემული, დამუშავებული ან შენახული ინფორმაციის ოდენობის ან მოცულობის შესაბამისად, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ტარიფიკაციის ერთეულების მიხედვით და კანონმდებლობით დადგენილი სხვა პარამეტრების შესაბამისად.

8.3 ოპერატორს უფლება აქვს, ქსელის დატვირთვის რაციონალურად გადანაწილების მიზნით, ოპერატორის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დააწესოს ფასდაკლებები მომსახურების ტარიფებისათვის აბონენტის მიერ ანაზღაურებული მომსახურების მოცულობის, დღე-ღამის დროის ან სხვა პარამეტრების მიხედვით ან საჯარო განცხადების სახით, გააკეთოს სპეციალური შეთავაზებები/აქციები. აბონენტებისათვის განსაზღვრული ფასდაკლებები ან სპეციალური შეთავაზებები/აქციები შესაძლებელია იყოს, როგორც მუდმივად მოქმედი, ასევე დროებითი. ფასდაკლებებით ან სპეციალური შეთავაზებებით/აქციებით სარგებლობის პირობები მომსახურების კონკრეტული სისტემისათვის ან სატარიფო გეგმისათვის განისაზღვრება ოპერატორის მიერ და ინფორმაციას მისი პირობების და ხელმისაწვდომობის შესახებ ოპერატორი ავრცელებს მის მიერ დადგენილი წესით, მათ შორის, ვებ-გვერდზე და მომსახურების ოფისებში.

9. ანგარიშსწორება

9.1 ჩართვის და მომსახურებისათვის აბონენტი იხდის საფასურს 9.9 და 9.10 პუნქტებში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასურის მიხედვით და მომსახურების სისტემის ფარგლებში განსაზღვრული სატარიფო გეგმის შესაბამისად.

9.2 ჩართვისა და მომსახურების საფასურის, ისევე როგორც სააბონენტო გადასახდელის გადახდა, შესაძლებელია განხორციელდეს ნაღდი, ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

9.3 გადახდის ბარათის მეშვეობით სააბონენტო ანგარიშზე შეტანილი ფულადი თანხა, ბარათზე აღნიშნული ნომინალის მიხედვით ავტომატურად აისახება სააბონენტო ანგარიშზე. გადახდის ბარათის მეშვეობით ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც წინასწარი გადახდის სისტემის, ასევე შემდგომი გადახდის სისტემის ფარგლებში.

9.4 მომსახურების საფასურის გადახდის პროცესი გადახდის ბარათის მეშვეობით შესაძლებელია დაყოვნდეს ან შეფერხდეს, განსაკუთრებით შენობებში, გვირაბებში ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში ან მომსახურების მიღების ადგილის რელიეფური ან მეტეოროლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე.

9.5 გაწეული მომსახურების, მათ შორის, დამატებით მომსახურებების საფასურთან ან მის ოდენობასთან, ისევე როგორც სააბონენტო გადასახდელთან დაკავშირებით აბონენტის მხრიდან უთანხმოების არსებობისას, მომსახურების საფასურის დაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ოპერატორის საბილინგო სისტემის მონაცემები. მხარეთა შორის უთანხმოების შემთხვევაში დავა გადაწყდება წინამდებარე სტანდარტული პირობების 18.8 პუნქტის შესაბამისად.

9.6 ანგარიშსწორება ყველა სახის მომსახურებისათვის, მათ შორის, დამატებითი მომსახურებებისათვის ხორციელდება წინასწარი გადახდის წესით, თუ ხელშეკრულების მიხედვით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

9.7 აბონენტის მიერ ანგარიშსწორება ხორციელდება სააბონენტო ანგარიშზე, ოპერატორის საბანკო ანგარიშზე ფულადი თანხის ჩარიცხვით ან ოპერატორის წარმომადგენელთან ან ოპერატორის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთან სალაროში ფულადი თანხის შეტანით იმ გადახდის სისტემისა და სატარიფო გეგმის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში.

9.8 ანგარიშსწორების თარიღად მიიჩნევა ის დღე, როდესაც ფულადი თანხა ჩაირიცხა სააბონენტო ანგარიშზე, ოპერატორის საბანკო ანგარიშზე ან ოპერატორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის სალაროში განხორციელდა ფულადი თანხის შეტანა.

9.9 წინასწარი გადახდის სისტემა

9.9.1 წინასწარი გადახდის სისტემის მიხედვით გადახდა უნდა განხორციელდეს მომსახურების მიწოდებამდე, აბონენტის მიერ წინასწარ ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) სააბონენტო ანგარიშზე ჩარიცხვით, რომლის მეშვეობითაც სააბონენტო ანგარიშზე იქმნება დადებითი ბალანსი, რომელსაც ოპერატორი დაარიცხავს აბონენტს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასურს.

9.9.2 სააბონენტო ანგარიშზე წინასწარ ჩარიცხული თანხები (დეპოზიტი) გამოიყენება აბონენტის მიერ მომსახურების საფასურის გადასახდელად, მომსახურების მოცულობის შესაბამისად. სააბონენტო ანგარიშზე ფულადი თანხის (დეპოზიტის) ჩარიცხვის დროს, თანხის ოდენობას განსაზღვრავს აბონენტი, მის მიერ განზრახული მისაღები მომსახურების მოცულობიდან და ცალკეულ შემთხვევებში, ოპერატორის მიერ დადგენილი, მინიმალურად განსაზღვრული სააბონენტო ანგარიშზე ჩასარიცხი თანხის ოდენობიდან გამომდინარე. სააბონენტო ანგარიშზე ფულადი თანხის ჩარიცხვისას მესამე პირთა მიერ შეთავაზებული მომსახურების საშუალებით, მომსახურების პირობები და წესები, მათ შორის, მათი მიღების საფასური და ჩასარიცხი თანხის მინიმალური ოდენობა, დგინდება მომსახურების გამწევი მესამე პირების მიერ.

9.9.3 9.9.1 პუნქტის შესაბამისად თუ აბონენტის მიერ წინასწარ არ შესრულდა ფულადი ვალდებულება, მომსახურების მიწოდება არ ხორციელდება. ოპერატორს უფლება აქვს შეზღუდოს მომსახურების მიწოდება სააბონენტო ანგარიშზე საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის ან უარყოფითი ბალანსის არსებობისას. შეზღუდული მომსახურების სრული განახლება ხორციელდება მხოლოდ ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) გადახდის ან/და სააბონენტო ანგარიშზე მისი ჩარიცხვის საშუალებით, რომლის შედეგად სააბონენტო ანგარიშზე შეიქმნება დადებითი ბალანსი, რომელიც ტოლია ან აღემატება აბონენტის მიერ განზრახული მისაღები მომსახურების საფასურის ოდენობას.

9.9.4 აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ოპერატორს უფლება აქვს, აბონენტის მიერ არჩეული სატარიფო გეგმის, მომსახურებების სახეობების და მოცულობიდან გამომდინარე, სააბონენტო ანგარიშზე დააწესოს შეუმცირებადი დადებითი ბალანსი. ოპერატორს უფლება აქვს შეზღუდოს მომსახურების მიწოდება აბონენტისთვის, თუ სააბონენტო ანგარიშზე დადებითი ბალანსი მიაღწევს შეუმცირებად ზღვარს. შეზღუდული მომსახურების სრული განახლება ხორციელდება მხოლოდ ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) გადახდის ან/და სააბონენტო ანგარიშზე მისი ჩარიცხვის საშუალებით, რომლის შედეგად დადებითი ბალანსის ოდენობა აღემატება შეუმცირებად ზღვარს. ინფორმაცია, შეუმცირებადი ბალანსის შესახებ, აბონენტს შეუძლია მიიღოს ოპერატორისგან.

9.9.5 იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო ანგარიშზე ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის ან/და უარყოფითი ბალანსის არსებობის შემთხვევაში მომსახურება არ შეიზღუდა აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების პროპორციული საფასური.

9.10 შემდგომი გადახდის სისტემა.

9.10.1 შემდგომი გადახდის სისტემის მიხედვით, გარდა ქსელში ჩართვის ღირებულებისა, რომელსაც აბონენტი იხდის წინასწარ, აბონენტი იხდის სააბონენტო გადასახდელსა და ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საფასურს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვეს, აბონენტის მიერ ფულადი თანხის სააბონენტო ანგარიშზე ჩარიცხვით.

9.10.2 მომსახურების ფარგლებში აბონენტს ერიცხება ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი და ფაქტიურად მიღებული მომსახურების საფასური.

9.10.3 საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასურის ოდენობა გამოიანგარიშება ოპერატორის საბილინგო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით და ასახულია სააბონენტო ანგარიშზე. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია, უარყოფითი ბალანსის ფარგლებში დაწესდეს, დააწესოს კრედიტის ზღვარი (ლიმიტი), რომლის მიღწევის შემთხვევაში ოპერატორს უფლება აქვს შეზღუდოს მომსახურება ან/და მოსთხოვოს აბონენტს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდა, რომელიც აბონენტმა უნდა გადაიხადოს გარიგებით გათვალისწინებულ ვადებში.

9.10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრულ თარიღამდე, სააბონენტო გადასახდელის და ფაქტიურად მიღებული მომსახურების სახეობების და მოცულობის მიხედვით და სატარიფო გეგმით განსაზღვრული მომსახურების საფასურის არასრული გადახდის ან გადაუხდელობის შემთხვევაში ოპერატორს უფლება აქვს მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს აბონენტის მხრიდან შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებების შედეგად წარმოშობილი დავალიანების თანხების ამოსაღებად და ზიანის ასანაზღაურებლად.

10. მხარეთა უფლებამოვალეობანი

10.1 აბონენტს უფლება აქვს:

10.1.1 მიიღოს აუცილებელი და სწორი ინფორმაცია ოპერატორის მიერ აბონენტებისათვის შეთავაზებული მომსახურებების შესახებ და მიმართოს ოპერატორს წინადადებებითა და პრეტენზიებით ოპერატორის მიერ მიწოდებული მომსახურებების შესახებ.

10.1.2 შეუფერხებლად და უფასოდ მიიღოს ინფორმაცია მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის მიზეზებისა და ხანგრძლივობის თაობაზე, ისევე როგორც ოპერატორის მიერ დადგენილი ფორმით და კოდის საშუალებით მის სააბონენტო ანგარიშზე ბალანსის ოდენობის შესახებ.

10.1.3 შეუფერხებლად და უფასოდ მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამ შეიძლება მოახდინოს რაიმე სახის ზეგავლენა მომსახურების ხარისხსა ან/და მის პირობებზე.

10.1.4 ქსელში ჩართვისას, საკუთარი შეხედულებისამებრ, აირჩიოს მომსახურების სისტემა და ქსელში ჩართვის შემდგომ ისარგებლოს ოპერატორის (დამატებითი) მომსახურებებით, შეთავაზებებით, მათ შორის, ისეთით, რომელიც ოპერატორის მიერ განსაზღვრულია როგორც ულიმიტო, მხოლოდ იმგვარად, რომ აღნიშნული სარგებლობით არ მოხდეს აღნიშნული მომსახურებებისა და შეთავაზებების ბოროტად გამოყენება. ამ შემთხვევაში, მომსახურებებისა და შეთავაზებების ბოროტად გამოყენებად, ასევე მიიჩნევა, მომსახურებებით სარგებლობა იმ მოცულობით, სიხშირით ან ოდენობით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება, საშუალოდ აბონენტის მიერ მოთხოვნილ მომსახურებების მოცულობას.

10.1.5 წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ოპერატორის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად:

ა – მიიღოს ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სააბონენტო ანგარიშის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მიღებულ მომსახურებებს, მათ ხანგრძლივობებს და შემდგარ სატელეფონო შეერთებებს, ისევე როგორც გაწეული მომსახურებისათვის დარიცხულ საფასურს.

ბ – ოპერატორის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის გამოყოფილი სააბონენტო ნომერი.

10.1.6 ჩართოს ან გააუქმოს, ოპერატორის მიერ დადგენილი წესით და ფორმით, მომსახურებების, მათ შორის, დამატებითი მომსახურებების სახეობები ტექნიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით ან სხვა გზით, კოდის ან სხვა საშუალებების გამოყენებით, რომლებითაც დასტურდება ფაქტი, რომ მოთხოვნა მომდინარეობს აბონენტისაგან. მომსახურების ფარგლებში ოპერატორთან შეთანხმებული კოდის გამოყენებით შესრულებული მოქმედებები, ისევე როგორც მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მომსახურების ფარგლებში სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით და ასევე სააბონენტო მოწყობილობაში მოთავსებული/მიერთებული სიმ-ბარათის მეშვეობით, მიიჩნევა შესრულებულად აბონენტის სახელით და მისი ინტერესებისათვის, 10.2.4. და 10.2.12 პუნქტების შესაბამისად აბონენტის მიერ ოპერატორისათვის მიმართვამდე. აბონენტი პასუხისმგებელია კოდის გამოყენებით, სააბონენტო მოწყობილობითა და სააბონენტო მოწყობილობაში მოთავსებული/მიერთებული სიმ-ბარათით შესრულებულ მოქმედებებზე და მისი საშუალებით შეკვეთილი მომსახურებების საფასურის გადახდაზე.

10.1.7 მიმართოს ოპერატორს სატელეფონო ნომრის დროებით ბლოკირების თაობაზე, რომლის გამოყენების პირობები განისაზღვრება ოპერატორის მიერ.

10.1.8 მიიღოს 8.3 პუნქტით განსაზღვრული აქციების პირობები, ტექნიკური და/ან ელექტრონული ან სხვა გზით, კოდის ან სხვა საშუალებების გამოყენებით, რომლითაც დასტურდება ფაქტი, რომ მოთხოვნა მომდინარეობს აბონენტისაგან. აბონენტის მხრიდან აქციის პირობების მიღებით, აღნიშნული პირობები ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და ცვლის მის პირობებს აქციის განხორციელების ვადით.

10.1.9 10.5.1 პუნქტის მიხედვით მომსახურებების პირობების ან ტარიფების ძალაში შესვლამდე, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობით მიმართოს ოპერატორს, თუ აბონენტი ამ ვადის განმავლობაში არ მიმართავს ოპერატორს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნული ცვლილებები აბონენტის მიერ მიიჩნევა მიღებულად.

10.1.10 შეწყვიტოს ხელშეკრულება ოპერატორის წინასწარ შეტყობინებით.

10.1.11 მომსახურების ფარგლებში, მომსახურების არ ან არაჯეროვნად მიღების ან ნებისმიერი ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს ოპერატორის აბონენტთა საპრეტენზიო სამსახურს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. წერილობითი მიმართვისას დაცულ უნდა იქნას მე-17 მუხლით განსაზღვრული პირობები.

10.2 აბონენტი ვალდებულია:

10.2.1 შეასრულოს ხელშეკრულებით, წინამდებარე პირობებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სატარიფო გეგმით და მხარეთა შორის სხვა შეთანხმებებით, განსაზღვრული ვალდებულებები, პირობები და მოთხოვნები და განახორციელოს თავისი, როგორც აბონენტის, უფლებები პირადად, ან წარმომადგენელის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს კანონის ან მინდობილობის საფუძველზე. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ გაცემული მინდობილობა, აუცილებელი წესით, დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად ან ოპერატორის მიერ განსაზღვრული წესებით, ხოლო იურიდიული პირის მიერ გაცემული მინდობილობა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2.2 ოპერატორის სატელეფონო ქსელში ჩართვისათვის და მომსახურებებით სარგებლობისას გამოიყენოს ის სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ ნორმებსა და მოთხოვნებს და უზრუნველყოს ოპერატორთან შეთანხმებული კოდის დაცულობა და უსაფრთხოება და არ გაანდოს მესამე პირებს ინფორმაცია მის შესახებ, ხოლო კოდის დაკარგვის ან მისი გამჟღავნების ეჭვის არსებობისას დაუყოვნებლივ მიმართოს ოპერატორს და მოახდინოს მისი შეცვლა.

10.2.3 შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სატარიფო გეგმის ფარგლებში დაწესებული სპეციფიკური პირობები.

10.2.4 დაუყოვნებლივ პირადად მიმართოს, ანდა წერილობითი სახით შეატყობინოს ოპერატორს, როდესაც მისთვის ცნობილი გახდება, სიმ-ბარათის და ოპერატორის მიერ გადაცემული სააბონენტო მოწყობილობის დაკარგვის ან მისი ნების საწინააღმდეგოდ მფლობელობიდან სხვაგვარად გასვლის შესახებ. ოპერატორის მიერ შეტყობინების მიღებამდე მიღებული მომსახურების საფასურის გადახდის პასუხისმგებლობა ეკისრება აბონენტს. აბონენტის მიერ დაკარგული სიმ-ბარათისა და სააბონენტო მოწყობილობის გამოცვლა ხორციელდება ოპერატორის მომსახურების ოფისში. სიმ-ბარათის და ოპერატორის მიერ გადაცემული სააბონენტო მოწყობილობის გამოცვლის პირობებს და წესებს ადგენს ოპერატორი.

10.2.5 დაუყოვნებლივ პირადად მიმართოს, ან/და წერილობით შეატყობინოს ოპერატორს აბონენტის შესახებ ინფორმაციის (ფიზიკური პირის სახელის, გვარის და მისამართის და იურიდიული პირის სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, ან შერწყმის/გაყოფის შესახებ, რეკვიზიტების, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების და იურიდიული მისამართის) და ელექტრონული ფოსტის მისამართის ან სხვა, მათ შორის, ფაქტობრივი, საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ და ასევე მინდობილობის ან რწმუნების შემთხვევაში მისი ცვლილების ან გაუქმების შესახებ.

10.2.6 მომსახურებისათვის მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრული სატარიფო გეგმის და გადახდის სისტემის მიხედვით, ხოლო დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში დროულად დაფაროს იგი. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ოპერატორის მიერ, ფულადი, მათ შორის საურავით გათვალისწინებული თანხის გადახდასთან დაკავშირებული აბონენტის ვალდებულება უნდა შესრულდეს არაუგვიანეს ოპერატორის მოთხოვნიდან 5 საბანკო დღის ვადაში. აბონენტის მიერ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ოპერატორი იტოვებს უფლებას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გააუქმოს სააბონენტო ნომერი და გასცეს იგი სხვა აბონენტზე.

10.2.7 ქსელში ჩართვა და მომსახურებების მიღება მოახდინოს მხოლოდ ოპერატორის სიმ-ბარათით. აბონენტს ეკრძალება სიმ-ბარათის და ოპერატორის მიერ გადაცემული სააბონენტო მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობის დარღვევა, ან მისი კოპირება. ოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია მიაწოდოს მას ინფორმაცია, მის მფლობელობაში არსებული იმ სააბონენტო მოწყობილობ(ებ)ის შესახებ, რომელიც არ არის ოპერატორის მიერ გადაცემული, და რომელსაც აბონენტი იყენებს მომსახურების მისაღებად.

10.2.8 დაუყოვნებლივ შეატყობინოს ოპერატორს ზეპირად, ხოლო ორი კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით, მისი გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების დაწყების, ან იმ სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხონ ან შეუძლებელი გახადონ აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

10.2.9 არ გამოიყენოს სააბონენტო მოწყობილობა მომსახურების მისაღებად იმ ადგილებში, სადაც იზღუდება რადიოსატელეფონო სიგნალით სარგებლობა, ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას, თუ ეს უკანასკნელი არ არის აღჭურვილი ისეთი მოწყობილობით, რომელიც იძლევა საშუალებას სატელეფონო საუბრების წარმოებისა ხელის გამოყენების გარეშე.

10.2.10 არ გამოიყენოს მომსახურება, მესამე პირთა პირადი ცხოვრების ან მათი სიმშვიდის შემლახავი, მუქარის შემცველი, მათთვის მატერიალური ზიანის მიმყენებელი, ცილისმწამებლური, ვულგარული, შეურაცხმყოფელი ან სხვაგვარად ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო ან სხვა ნებისმიერი თაღლითური და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის, არ მოახდინოს მომსახურების გადაყიდვა, სააბონენტო ნომრის სასყიდლიანი გადაცემა მესამე პირებისთვის, ოპერატორის წერილობითი თანხმობის გარეშე, სარეკლამო კამპანიების, თამაშობების, ლატარეებისა და კონკურსების მოწყობისათვის ან სპამის ორგანიზებისათვის.

10.2.11 უზრუნველყოს სიმ-ბარათის და ოპერატორის მიერ, მისთვის სააბონენტო მოწყობილობის დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, სააბონენტო მოწყობილობის დაცულობა და უსაფრთხოება, არ მოახდინოს და არ დაუშვას მესამე პირთა მხრიდან, მათგან რაიმე სახის ინფორმაციის, ანდა მონაცემთა მოხსნა, ჩამოტვირთვა/ატვირთვა, კოპირება ან მისი დუბლირება.

10.2.12 დაუყოვნებლივ, პირადად მიმართოს, ანდა წერილობითი სახით შეატყობინოს ოპერატორს, როდესაც მისთვის ცნობილი გახდება 10.2.11 პუნქტში აღნიშნული გარემოებების დადგომა. აბონენტის მხრიდან, შეტყობინების მიღებამდე და შეტყობინების მიღებიდან ოპერატორის მხრიდან დაუყოვნებელი რეაგირებისასთვის საჭირო დროის განმავლობაში ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის პასუხისმგებლობა ეკისრება აბონენტს.

10.2.13 ოპერატორის ქსელის გამოყენებით, მომსახურების მიღებისას და/ან მონაცემთა გადაცემის ფარგლებში მიმართოს ყველანაირ ზომას იმის უზუნველსაყოფად, რომ ხელი შეუშალოს და აღკვეთოს სპამის, დაუშვებელი პროდუქციის და საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელება, უნებართვო შეღწევა ქსელის რესურსებთან ან უნებართვო სარგებლობა, ქსელის პროტოკოლების მისამართების ფალსიფიცირება, ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც არის მუქარის შემცველი, ცილისმწამებლური, ვულგარული, შეურაცხმყოფელი, ან სხვა მხრივ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს ან ხელყოფს სხვათა ინტელექტუალურ საკუთრებას.

10.2.14 არ გამოიყენოს და არ დაუშვას მომსახურების ან სააბონენტო მოწყობილობის გამოყენება იმგვარად, რა დროსაც საფრთხე ექმნება, ფერხდება, ზიანდება ან იზღუდება ქსელის ფუნქციონირება, ან უარესდება მომსახურების ხარისხი ან ხდება ნებისმიერი ტელესაკომუნიკაციო, ინფორმაციულ ტექნოლოგიური ქსელის ან სისტემის მთლიანობის, ან უსაფრთხოების დარღვევა.

10.3 აბონენტი ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვს შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულებები და ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში მის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი, ან ადმინისტრაციული წარმოება, იძულებითი აღსრულება, გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოება, ან სხვა სახის პროცედურა, ან გარემოება, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს ან დაბრკოლებას შეუქმნის ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შესრულებას.

10.4 აბონენტი თანახმაა, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, მიიღოს ოპერატორისაგან ოპერატორის შესახებ და მის საქმიანობასთან დაკავშირებული, ასევე ოპერატორის პარტნიორი თუ კონტრაქტორი კომპანიებისგან[1] ნებისმიერი სახის სარეკლამო და საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებები, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ხმოვანი ზარები. აბონენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, უარი თქვას აღნიშნული რეკლამის და ინფორმაციის მიღებაზე ოპერატორისათვის წერილობითი შეტყობინებით ან ოპერატორის მიერ დადგენილი წესით ტექნიკური და/ან ელექტრონული ან სხვა გზით, კოდის ან სხვა საშუალებების გამოყენებით, რომლითაც დასტურდება ფაქტი, რომ მოთხოვნა გამომდინარეობს აბონენტისაგან.

10.5 ოპერატორს უფლება აქვს:

10.5.1 დაადგინოს მომსახურების პირობები და წესები, ტარიფების ოდენობა, მათი გადახდის წესები და მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე შეტყობინების შემდეგ ცალმხრივად შეცვალოს ისინი. აღნიშნულ შეტყობინებას ოპერატორი ავრცელებს და აქვეყნებს მის მიერ დადგენილი წესით საკუთარ ოფისებში და ოპერატორის ვებ-გვერდზე. თუ ცვლილებების შედეგად იზრდება მომსახურების საფასური ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში) ოპერატორი, მიიღებს ზომებს და უზრუნველყოფს აბონენტის ინფორმირებას ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნის საშუალებით, ყველა სხვა შემთხვევაში ოპერატორის ვებ–გვერზე ინფორმაციის გამოქვეყნება ჩაითვლება აბონენტის შეტყობინებად. მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ადრესატი სააბონენტო ნომრის მიმართულებით გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატი სააბონენტო ნომრის მიერ აღნიშნული შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად. ელექტრონული შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან ელექტრონული გზავნილის ადრესატი ელექტრონული საფოსტო მისამართის მიმართულებით გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატი ელექტრონული ფოსტის მისამართის მიერ აღნიშნული შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად. ხმოვანი ან ზეპირი სატელეფონო ხმოვანი შეტყობინება იგზავნება სააბონენტო ნომერზე. 10.2.5 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ფოსტის ან საცხოვრებელი მისამართის ცვლილების შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ოპერატორისათვის უკანასკნელად ცნობილ მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული თუ წერილობითი შეტყობინება მიიჩნევა მიღებულად.

10.5.2 მომსახურების ფარგლებში შესთავაზოს აბონენტს მესამე პირთა მომსახურებები და პროდუქტი, ამ შემთხვევაში მომსახურების პირობები და წესები, მათი მიღების საფასური, წესები და პირობები დგინდება მესამე პირების მიერ და შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე.

---

[1] ცვლილება ძალაშია 06.07.2015

10.5.3 ჩაატაროს საკუთარ ქსელში გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოები, რომელთაც შესაძლებელია მოჰყვეს მომსახურების შეჩერება, შეზღუდვა, გაუარესება ან შეფერხებები და რომლებიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ან გამიზნულია ქსელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

10.5.4 მიაწოდოს აბონენტს მომსახურებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აღნიშნულ შეტყობინებას ოპერატორი ავრცელებს და აქვეყნებს მის მიერ დადგენილი წესით, მათ შორის საკუთარ ოფისებში.

10.5.5 საინფორმაციო მომსახურების ცენტრში აბონენტის მხრიდან ოპერატორისათვის ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართვის შემთხვევაში, მოახდინოს სატელეფონო საუბრების ჩაწერა, რომლის შესახებ ოპერატორი წინასწარ მოახდენს აბონენტის ინფორმირებას.

10.5.6 ოპერატორის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, მოახდინოს სიმ-ბარათის გამოცვლა, მასში დამატებითი პროგრამების ჩაწერა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მიზეზის არსებობის შემთხვევაში, იმ პირობებით, რომელთა შესახებაც აბონენტს ეცნობება.

10.5.7 დროებით, ნაწილობრივ ან სრულად შეაჩეროს მომსახურების მიწოდება დარღვევის გამოსწორებამდე, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიღებისას ან სიმ-ბარათით, ისევე როგორც, სააბონენტო მოწყობილობით სარგებლობისას აბონენტი: ზიანს აყენებს ოპერატორს; სხვა აბონონტებს ან მესამე პირებს; აბონენტისათვის გამოყოფილი სააბონენტო ნომრის ან საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებით ხდება ქსელში უნებართვო ჩართვა; მომსახურების გადაყიდვა, სააბონენტო ნომრის სასყიდლიანი გადაცემა მესამე პირებისთვის, ახორციელებს მრავალჯერად მცდელობებს არარსებული გადახდის ბარათის გააქტიურების მიზნით; ოპერატორის თანხმობის გარეშე სააბონენტო ნომერს იყენებს საკონტაქტო ცენტრების, ლატარეის, ხმის მიცემის, გათამაშებების, რეკლამის, კონკურსების ორგანიზებისათვის ან ოპერატორის თანხმობის გარეშე იყენებს ზარების დასრულების, ანდა სააბონენტო ნომრის ჩანაცვლების სისტემებს; შეღწევადობის რაბებს; ოპერატორთან შეთანხმების და შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე ახორციელებს განსაზღვრული ტრაფიკის დამისამართებას ოპერატორის ქსელში და 10.2.10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ინტერნეტით სარგებლობისას აწარმოებს სპამს, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური, ან მავნე პროგრამების გავრცელებას, ან გადამისამართებას, ან ახორციელებს სხვა, მათ შორის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, მოგების მიღების მიზნით ან აბონენტი სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

10.5.8 მოახდინოს აბონენტის მიერ ცალკეული მომსახურებების სახეებთან, მის ფრაგმენტებთან, განსაზღვრულ საინფორმაციო რესურსებთან, მათ შორის, საინფორმაციო მომსახურების ცენტრთან, ინტერნეტ-მომსახურებასთან, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ინტერნეტ, ასევე ცალკეული ქსელის მისამართებთან, განსაზღვრულ ქსელებთან, სერვერებთან წვდომის და სარგებლობის შეზღუდვა ან მოახდინოს ინტერნეტ მისამართების და დომენების ბლოკირება ან/და ფილტრაცია 10.2.10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან იმ შემთხვევაში თუ აბონენტის ქმედებებით ირღვევა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და წესები.

10.5.9 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში, სააბონენტო ანგარიშზე, ფულადი საავანსო თანხის არ შეტანის ან დავალიანების არსებობისას, მისი გადაუხდელობის შემთხვევაში, ან 10.2.8 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10.5.10 დაუყოვნებლივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ 10.5.7 პუნქტის შესაბამისად შეჩერებული/შეზღუდული მომსახურების განახლების შემდგომ აბონენტი განმეორებით მოახდენს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და მოთხოვნების დარღვევას.

10.5.11 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში[2].

10.5.12 ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე გასცეს სხვა აბონენტზე სააბონენტო ნომერი.

10.5.13 თუ აბონენტი, ხელშეკრულებით განსაზღვრული სატარიფო გეგმის და გადახდის სისტემის მიხედვით განსაზღვრული პირობებით, დროულად არ გადაიხდის ოპერატორის წინაშე წარმოშობილ დავალიანებას, მიიღოს აუცილებელი ზომები გადასახდელი თანხის ამოსაღებად.

10.5.14 დაუყოვნებლივ დროებით, ნაწილობრივ, ან სრულად შეაჩეროს მომსახურების მიწოდება ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გადაცემული სიმ-ბარათის ან/და გამოყოფილი სააბონენტო ნომრის ბოროტად გამოყენებისაგან აბონენტის დაცვის მიზნით, იმ შემთხვევაში თუ, აბონენტისათვის გადაცემული სიმ-ბარათ(ებ)იდან ანდა სააბონენტო ნომრ(ებ)იდან ადგილი აქვს უჩვეულოდ დიდი მოცულობის ტრაფიკს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება გასული საანგარიშო პერიოდებისათვის საშუალოდ განხორციელებულ ტრაფიკს, ანდა აბონენტისათვის გადაცემული სიმ-ბარათ(ებ)იდან ანდა სააბონენტო ნომრ(ებ)იდან ადგილი აქვს უჩვეულო ოდენობის ტრაფიკს ისეთ საერთაშორისო მიმართულებებზე ან ფასიან ნომრებზე, რა ოდენობაც აღნიშნულ საერთაშორისო მიმართულებებზე ან ფასიან ნომრებზე გასული საანგარიშო პერიოდებისათვის არ დაფიქსირებულა. ოპერატორი უზრუნველყოფს აბონენტის ინფორმირებას მომსახურების შეზღუდვის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან სხვა საშუალებით. მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ადრესატი სააბონენტო ნომრის მიმართულებით გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატი სააბონენტო ნომრის მიერ აღნიშნული შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად.

10.5.15 აბონენტის მხრიდან ვადიანი ხელშეკრულებით (ინდივიდუალური) გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებიდან წარმოშობილი დავალიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ან აბონენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია მოთხოვოს და აბონენტი ვალდებულია გადაუხადოს ოპერატორს ხელშეკრულებით (ინდივიდუალური) გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

---

[2] ცვლილება ძალაშია 06.07.2015

10.5.16 5.5, 5.6, 7.6 და 7.7 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების შეზღუდვამდე, ტექნიკური და პროგრამულ-აპარატული ფუნქციონალობის სრული ხელმისაწვდომობის და შესაძლებლობების ფარგლებში, მოახდინოს აბონენტისათვის, გაფრთხილების მიზნით, მოსალოდნელი მომსახურების შეზღუდვის შესახებ 5.5 და 5.6 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მოკლე ტექსტური შეტყობინების ან 7.6 და 7.7 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ელექტრონული ფოსტის საშუალებით ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა (იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს წერილობითი სახით მითითებული აქვს ელექტრონული ფოსტის მისამართი) სააბონენტო ანგარიშზე ფულადი თანხის მინიმალურ ოდენობამდე შემცირების შემთხვევაში. ელექტრონული შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან ელექტრონული გზავნილის ადრესატი ელექტრონული ფოსტის მისამართის მიმართულებით გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატი ელექტრონული ფოსტის მისამართის მიერ აღნიშნული შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად. 10.2.5 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ფოსტის მისამართის ცვლილების შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ოპერატორისათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება მიიჩნევა გაგზავნილად.

10.6 ოპერატორი, გამოიყენებს მის მფლობელობაში არსებულ ყველა შესაძლო და ხელმისაწვდომ რესურსსა და ძალისხმევას მომსახურების მაღალი ხარისხით მიწოდებისათვის, მაგრამ გარანტიას არ იძლევა, რომ მომსახურება იქნება სრულიად შეუფერხებელი ან უწყვეტი.

10.7 ოპერატორი ვალდებულია:

10.7.1 უზრუნველყოს აბონენტის ქსელში ჩართვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ჩართვის საფასურის გადახდიდან, ხოლო შეზღუდული მომსახურების განახლება შეზღუდვის მიზეზების აღმოფხვრიდან, 24 საათის განმავლობაში.

10.7.2 უზრუნველყოს და განახორციელოს აბონენტის მომსახურება ქსელის დაფარვის ზონის ფარგლებში, ოპერატორისათვის გაცემული ლიცენზიების პირობებისა და შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში.

10.7.3 საინფორმაციო მომსახურების ცენტრში დაკავშირებისას ან მომსახურების ოფისებში უსასყიდლოდ უზრუნველყოს აბონენტისათვის აუცილებელი და სწორი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მომსახურებების სახეების, მათი აღწერილობის, ტარიფების შესახებ და კოდის საშუალებით აბონენტის იდენტიფიკაციის შემთხვევაში მის სააბონენტო ანგარიშზე არსებული ბალანსის შესახებ.

10.7.4 აბონენტის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში გამოწეროს და წარუდგინოს აბონენტს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

10.7.5 მოახდინოს მომსახურებაში არსებული შეფერხებების და ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირების აღდგენა გონივრულ ვადებში, ტექნიკური შესაძლებლობების და ხელთარსებული რესურსების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს მიზეზის წარმოშობიდან 12 საათის განმავლობაში.

10.7.6 6.6 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეზღუდვის დაწესებამდე, ტექნიკური და პროგრამულ-აპარატული ფუნქციონალობის სრული ხელმისაწვდომობის და შესაძლებლობების ფარგლებში, მიიღოს ზომები და უზრუნველყოს აბონენტისათვის, გაფრთხილების მიზნით, მოსალოდნელი მომსახურების შეზღუდვის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა სააბონენტო ანგარიშზე ფულადი თანხის მინიმალურ ოდენობამდე შემცირების შემთხვევაში. მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ადრესატი სააბონენტო ნომრის მიმართულებით გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატი სააბონენტო ნომრის მიერ აღნიშნული შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად.

10.7.7 6.7 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეზღუდვის დაწესებამდე, ტექნიკური და პროგრამულ-აპარატული ფუნქციონალობის სრული ხელმისაწვდომობის და შესაძლებლობების ფარგლებში, მიიღოს ზომები და უზრუნველყოს აბონენტისათვის, გაფრთხილების მიზნით, მოსალოდნელი მომსახურების შეზღუდვის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა, მომსახურების შეზღუდვამდე 3 სამუშაო დღით ადრე. მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა ოპერატორის ქსელიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ადრესატი სააბონენტო ნომრის მიმართულებით გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატი სააბონენტო ნომრის მიერ აღნიშნული შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად.

10.7.8 მისცეს საშუალება აბონენტს, მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში უსასყიდლოდ და ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში, განახორციელოს გამავალი ზარი ოპერატორის საინფორმაციო მომსახურების ცენტრში და გადაუდებელი სამსახურის საგანგებო ნომერზე.

10.7.9 ტექნიკური შესაძლებლობის და ხელთარსებული რესურსების გამოყენების ფარგლებში მიიღოს ყველა შესაძლო ზომა სპამის გავრცელების აღსაკვეთად.

10.7.10 საინფორმაციო მომსახურების ცენტრში დაკავშირებისას ან მომსახურების ოფისებში, აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს მისი ინფორმირება, მომსახურების ფარგლებში, მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

10.7.11 უზრუნველყოს ოპერატორის აბონენტთა საპრეტენზიო სამსახურის მიერ აბონენტთა მხრიდან შემოსული პრეტენზიების განხილვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. ხოლო მისი დასაბუთებულად მიჩნევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებიდან გონივრულ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი.

11. მომსახურების სისტემის/სატარიფო გეგმის ცვლილება (მიგრირება)

11.1 ოპერატორი, აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს აბონენტისათვის შესაძლებლობას მისთვის გამოყოფილი სააბონენტო ნომრის შეცვლის გარეშე, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს აირჩიოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა მომსახურების სისტემა ან სატარიფო გეგმა – განახორციელოს მიგრირება. მიგრირების განხორციელება დამოკიდებულია, ოპერატორის მიერ აბონენტისათვის განსაზღვრული ფორმით, აბონენტის მხრიდან გამოხატულ თანხმობაზე შეასრულოს ახალი მომსახურების სისტემით/სატარიფო გეგმით განსაზღვრული პირობები. მიგრირების დეტალური პირობები და გამოყენების წესები განისაზღვრება ოპერატორის მიერ და ქვეყნდება ოპერატორის ვებ-გვერდზე.

11.2 მომსახურების სისტემიდან/სატარიფო გეგმიდან სხვა მომსახურების სისტემაზე/სატარიფო გეგმაზე მიგრირებამდე აბონენტი ვალდებულია დაფაროს არსებული მომსახურების სისტემის/სატარიფო გეგმის ფარგლებში წარმოშობილი ყველა არსებული მიმდინარე დავალიანება.

12. სააბონენტო ნომერი და სიმ-ბარათი

12.1 აბონენტს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გააჩნია და არ წარმოექმნება რაიმე სახის ქონებრივი ან საკუთრების უფლება, ოპერატორის მიერ მისთვის გამოყოფილ სააბონენტო ნომერზე (ნომრებზე). ოპერატორი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს, მოახდინოს გამოყოფილი სააბონენტო ნომრის ან მომსახურების ფარგლებში ნებისმიერი საიდენტიფიკაციო ნომრის, კოდის ან სხვა ნუმერაციის შეცვლა.

12.2 ოპერატორი, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დროებით სარგებლობაში გადასცემს და აძლევს აბონენტს უფლებას ისარგებლოს სიმ-ბარათით, იმ პირობით, რომ სიმ-ბარათი არის და ყოველთვის დარჩება ოპერატორის საკუთრებაში და მოთხოვნისთანავე უნდა დაუბრუნდეს მას. ოპერატორი არ იძლევა გარანტიას იმ მონაცემების უსაფრთხოებაზე, დაცულობაზე და შენახვაზე, რომელიც აბონენტის მიერ ჩაწერილია სიმ-ბარათზე.

12.3 ცალკეული სააბონენტო ნომრის (ნომრების), მათში ციფრობრივი კომბინაციების ან/და მათი სახეობების შერჩევისათვის და ცალკეული სახეობების სიმ-ბარათებით სარგებლობისათვის ოპერატორის მიერ შესაძლებელია დაწესდეს საფასური, რომელიც შეიძლება გამოიხატოს, როგორც ერთჯერადი ფიქსირებული, ასევე პერიოდულად გადასახდელი საფასურით. ინფორმაცია აღნიშნული საფასურების და მათი ოდენობების შესახებ ხელმისაწვდომია ოპერატორის ოფისებში.

13. ინფორმაცია აბონენტის შესახებ

13.1 აბონენტის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ აბონენტის სახელის, გვარის და მისამართის და იურიდიული პირის სახელწოდების, რეკვიზიტების, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებ(ებ)ის და იურიდიული მისამართის შესახებ ისევე როგორც ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ადგილ(ებ)ის და მომსახურების სახეობ(ებ)ის, გაწეული მომსახურების ოდენობასა და საფასურის, ისევე როგორც თარიღისა და გადასახადების ჩათვლით თანხის საერთო ოდენობის, გადახდის ვადებისა და თარიღების შესახებ და ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ტრაფიკის მონაცემებს(მონაცემები ზარების წამოწყების/გამოძახებების და მათი საბილინგო მონაცემების შესახებ, მათ შორის, მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ზარების კომუტაციასთან, გადამისამართებასთან, ზარების ხანგრძლივობასთან, იმ მოწყობილობის ადგილმდებარეობასთან, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ზარები ან მათი მიღება, იმ ქსელთან, საიდანაც ხდება ზარების წამოწყება ან დასრულება და წამოწყების და დასრულების დროსთან, ასევე ამ ტელესაკომუნიკაციო ქსელში გამოძახების ხანგრძლივობასთან) წარმოადგენს პერსონალურ ინფორმაციას, რომელიც მუშავდება, დაცულია და ინახება ოპერატორთან მისი საქმიანობის მიზნებისათვის და ასევე, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აბონენტი აცხადებს თანხმობას, რომ პერსონალური ინფორმაცია გამოყენებული იქნეს იმ მიზნებისათვის, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სააბონენტო ანგარიშის მართვით, გაწეული მომსახურებისათვის საფასურის დაანგარიშებით და ანგარიშის შედგენით, მოკრებით, მარკეტინგული კვლევით, პროდუქტების ან მომსახურების განვითარებით, აბონენტთა მომსახურებით ან სხვა, ოპერატორის მიერ განსაზღვრულ მიზნით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

13.2 აბონენტი აცხადებს თანხმობას და აძლევს უფლებას ოპერატორს მოახდინოს პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება ოპერატორის ჯგუფის კომპანიებზე და როუმინგ პარტნიორებზე, სხვა ავტორიზებულ ან ლიცენზირებულ ოპერატორებზე ან მიმწოდებლებზე ან ოპერატორთან აფილირებულ კომპანიებზე მომსახურების ჯეროვნად მიწოდების მიზნით და ასევე მესამე პირებზე, მათ შორის, საკრედიტო ბიუროებზე და სხვა ტელესაკომუნიკაციო ოპერატორებზე, საკრედიტო ინფორმაციის რეპორტინგის, მომსახურების გაუმჯობესების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ადმინისტრირების, სააბონენტო ანგარიშის მართვის, თაღლითური ქმედებების თავიდან აცილების და სხვა ოპერატორის მიერ განსაზღვრული მიზნებისათვის. ოპერატორი არ მოახდენს პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებას მესამე პირებზე გარდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ან მის მიერ დაშვებულ შემთხვევებში.

14. მომსახურების ხარისხი

14.1 მომსახურება ხელმისაწვდომია დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და ოპერატორის ლიცენზიის პირობებს 14.2, 14.3 და 14.4 პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით.

14.2 რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეუფერხებელი, რადიოსატელეფონო სიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლებელია გაუარესდეს, განსაკუთრებით, შენობებთან, შენობებში, შენობებში, გვირაბებში ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში ან მომსახურების მიღების ადგილის გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური ან სხვაგვარი თავისებურებებიდან გამომდინარე. მიახლოებითი ინფორმაცია, იმ ადგილების შესახებ, რომლებიც ექცევა ქსელის დაფარვის ზონაში, აბონენტს შეუძლია მიიღოს ოპერატორისგან გრაფიკულად გამოსახული ფორმით, რომელიც პერიოდულად ახლდება. რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების ბუნების და ქსელის დაფარვის ზონის შესახებ ინფორმაციის გრაფიკული გამოსახვის შეზღუდული შესაძლებლობების გამო ოპერატორი არ იძლევა გარანტიას, რომ რადიოსატელეფონო სიგნალი იქნება ხელმისაწვდომი იმ ადგილას, რომელიც წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ექცევა ქსელის დაფარვის ზონაში.

14.3 ქსელის აგებულების თავისებურებებიდან გამომდინარე მომსახურება და მისი ხარისხი დამოკიდებულია სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების, მათ შორის, საქალაქთაშორისო ან საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების ოპერატორების მოწყობილობების და მათი ფუნქციონირების ხარისხზე, რაც სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს.

14.4 ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი მომსახურების შეფერხებების ან ნაკლოვანებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების მისაღებად აბონენტი იყენებს გაუმართავ, დაზიანებულ ან დადგენილ ტექნიკურ ნორმებთან შეუსაბამო სააბონენტო მოწყობილობას ან თუ ეს უკანასკნელი მოდიფიცირებულია ან გარემონტებულია სააბონენტო მოწყობილობის მწარმოებლის არაავტორიზებული პირის მიერ, ანდა მწარმოებელთან შეთანხმების გარეშე.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა

15.1 ოპერატორი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს აბონენტს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს აბონენტს ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად და რომელიც გამოწვეულია, დადასტურებული ბრალეულობისას, ოპერატორის მიერ, მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ოპერატორისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

15.2 15.1 პუნქტის შესაბამისად ოპერატორის პასუხისმგებლობა, მისი დადასტურებული ბრალეულობის შემთხვევაში, მომსახურების მიუწოდებლობის ან არაჯეროვანი მიწოდების შემთხვევაში შემოიფარგლება და განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა – ქსელში ჩართვის ვადების დარღვევის შემთხვევაში ოპერატორის მიერ დაწესებული ქსელში ჩართვის საფასურის 1 პროცენტის ოდენობის საურავით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ – მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიუწოდებლობის ან უხარისხოდ მიწოდების შემთხვევაში, რომელიც გამოიხატება აბონენტის მიერ ხმოვანი ზარის განხორციელების შეუძლებლობაში, უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში აბონენტის მიერ ერთი საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტობრივად მიღებული მომსახურების საფასურის ოდენობის 1 პროცენტის ოდენობის საურავით ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე 10.7.5 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ.

გ – სხვა დანარჩენი მომსახურების მიწოდების შეფერხების ან უხარისხოდ მიწოდების შემთხვევაში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე მომსახურების შეფერხებების აღმოფხვრით და მომსახურების საფასურის პროპორციული შემცირებით.

ა, ბ ან გ პუნქტების შემთხვევაში მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიუწოდებლობის ან უხარისხოდ მიწოდების ფაქტი აბონენტის მხრიდან უნდა იყოს დოკუმენტალურად დადასტურებული.

15.3 აბონენტი კისრულობს პასუხისმგებლობას აუნაზღაუროს ოპერატორს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს ოპერატორს აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

15.4 აბონენტის პასუხისმგებლობა ოპერატორის წინაშე განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა – მომსახურების საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის, ან არასრული, ან არადროული გადახდის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით;

ბ – სხვა დანარჩენი ვალდებულების არ, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებში ოპერატორისათვის პირდაპირი ზიანის ანაზღაურებით.

15.5 15.2 და 15.4 პუნქტებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს/საურავის/ჯარიმის/ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზება ხორციელდება მხოლოდ ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას, დამრღვევი მხარის მიმართ. ხოლო მათი გამოყენების შემთხვევაში პირგასამტეხლოს/საურავის/ჯარიმის ოდენობის დარიცხვა ხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

15.6 იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებელის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

15.7 წინამდებარე მუხლში განსაზღვრული საურავების გამოყენება არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

15.8 ოპერატორი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არ, ან არაჯეროვანი შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არ, ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია ისეთი სახის გარემოებებით (დაუძლეველი ძალა), რომლებიც წარმოიშვა ოპერატორისგან დამოუკიდებელი მიზეზებით და არ ექვემდებარება მის გონივრულ კონტროლს ან ნებას (ფორსმაჟორული გარემოებები).

15.9 15.8 პუნქტში მითითებული ფორსმაჟორული გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, ბუნებრივი კატაკლიზმები და მოვლენები, მათ შორის, მიწისძვრა, სეტყვა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, ეპიდემია ან პანდემია, გაფიცვა, ლოკაუტი, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, კრიმინალური ან ტერორისტული აქტი, ოფიციალურად გამოცხადებული, ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო, ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, ემბარგო, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, სანქციები, ან აქტები, ოპერატორის მიმწოდებლების, კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების მიზეზით გამოწვეული შემთხვევები, მათ შორის, მიმწოდებლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ ოპერატორის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობა, უჩვეულო ან არაპროგნოზირებადი გადატვირთვები და შეფერხებები ცალკეულ საბაზო სადგურზე, ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში, ოპერატორის საკომუტაციო სადგურზე, მაგისტრალურ საკომუნიკაციო არხებში, ასევე მომსახურების შეფერხება და შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია იმ სამუშაოების ჩატარებით, რომელიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას, ან მის გაუმჯობესებას, ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მომსახურების შეფერხება და შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია მესამე პირთა (ოპერატორების) ქსელებში, ან შეერთების კვანძებში შეფერხებებით, ან რესურსების, ან ქსელის (მათ შორის ინტერნეტის ქსელის) შეფერხებები, ან ხელმიუწვდომლობა, რომელთა ადმინისტრირება, ან კონტროლი ხორციელდება მესამე პირთა მიერ, მომსახურების შეფერხება, ან შეწყვეტა, თუ ეს გამოწვეულია აბონენტის მიერ ისეთი სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება ასეთი მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

15.10 ოპერატორი გარანტიას არ იძლევა და სრულიად იხსნის პასუხისმგებლობას მომსახურების ფარგლებში, აბონენტებისათვის შეთავაზებულ მესამე პირთა, მათ შორის, როუმინგ-პარტნიორთა მომსახურების შინაარსზე, ხარისხზე, სიზუსტეზე, ხელმისაწვდომობაზე და დროულობაზე, შესაბამისად, აბონენტის მიერ მესამე პირთა მომსახურებებით სარგებლობა ხორციელდება აბონენტის რისკით და ოპერატორი, არცერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი აბონენტისათვის გამოწვეულ რაიმე სახის ზიანზე ან დანაკარგზე.

16. სააბონენტო ნომრის პორტირება

16.1 წინამდებარე მე-16 მუხლში ქვემოთ მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

16.1.1 **მომხმარებელი** – ამ მუხლის მიზნებისათვის ნიშნავს აბონენტს ან სხვა საკომუნიკაციო ქსელის ბოლო მომხმარებელს.

16.1.2 **პორტირება** – ნიშნავს სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის პროცესს, როდესაც ერთი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ან მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მოახდინოს მისი სააბონენტო ნომრის გადატანა მისი დონორი ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან მიმღებ ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში, სააბონენტო ნომრის შეცვლის გარეშე და მიიღოს შესაძლებლობა ისარგებლოს მიმღები ოპერატორის მომსახურებით.

16.1.3 **დონორი ოპერატორი** – ნიშნავს საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს, ან სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელს, რომლის მომხმარებელი ითხოვს სააბონენტო ნომრის პორტირებას ან/და რომლის მომსახურებასაც ღებულობდა მომხმარებელი სააბონენტო ნომრის პორტირებამდე.

16.1.4 **მიმღები ოპერატორი** – ნიშნავს საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს, ან სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელს, რომლის საკომუნიკაციო ქსელშიც სააბონენტო ნომრის პორტირება სურს მომხმარებელს, ან რომლის მომსახურების მიღება სურს ან/და რომლის მომსახურებას ღებულობს მომხმარებელი სააბონენტო ნომრის პორტირების შემდგომ.

16.1.4 **სამუშაო დრო** – ნებისმიერი დღე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9:00 საათიდან 18:00 საათამდე, კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა.

16.2 პორტირების ზოგადი პირობები

16.2.1 სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორიდან, ან მომსახურების მიმწოდებლიდან ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების მსურველმა მომხმარებლებმა უნდა შეასრულონ ოპერატორის მიერ განსაზღვრული პორტირების მოთხოვნები.

16.2.2 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის, ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით პორტირების მსურველმა მომხმარებლებმა უნდა მიმართონ აღნიშნული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს, ან მომსახურების მიმწოდებელს და შეასრულონ მიმღები ოპერატორის მიერ განსაზღვრული პორტირების მოთხოვნები.

16.2.3 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის, ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით განხორციელებული პორტირება ნიშნავს ოპერატორსა და აბონენტს შორის არსებული ხელშეკრულების მოშლას და შესაბამისად იწვევს მომსახურების შეწყვეტას იმ სააბონენტო ნომერზე, რომლის პორტირებაც განხორციელდა.

16.2.4 სააბონენტო ნომრის პორტირება, როგორც ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში, ისევე როგორც ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით, შესაძლებელია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის“ დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

16.2.5 ოპერატორი, მომხმარებლის მიერ წარდგენილი, ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების მოთხოვნის განაცხადის საფუძველზე, უზრუნველყოფს განაცხადში მითითებული სააბონენტო ნომრის პორტირებას, იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილებულია 16.3 პუნქტში განსაზღვრული პირობები.

16.2.6 16.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოპერატორი აცნობებს მომხმარებელს პორტირებაზე უარის თქმის მიზეზების შესახებ. პორტირების მსურველი მომხმარებლის მიერ პორტირებაზე უარის თქმის მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განმეორებით მიმართოს ოპერატორს პორტირების თაობაზე განაცხადით.

16.2.7 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის, ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით, ანდა სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორიდან, ან მომსახურების მიმწოდებლიდან ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების პროცესის მიმდინარეობისას შესაძლებელია მომხმარებელს დროებით, ნაწილობრივ, ან სრულიად შეუწყდეს მომსახურება, რომლის მაქსიმალური ჯამური ხანგრძლივობა არ აღემატება 3 საათს. აღნიშნულ შემთხვევაში ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი ასეთ მომსახურების შეწყვეტაზე და აღნიშნული შემთვხვევა არავითარ საფუძველს არ ქმნის, ან არ წარმოშობს უფლებას მომხმარებლის მხრიდან მოითხოვოს რაიმე სახის ზიანის ანაზღაურება.

16.2.8 სააბონენტო ნომრის პორტირების განხორციელების შემთხვევაში ოპერატორი თავისუფლდება მომხმარებლისათვის პორტირებული სააბონენტო ნომერზე მომსახურების გაწევისაგან და ამასთან, არ იძლევა გარანტიას, რომ პორტირებულ სააბონენტო ნომერზე მომხმარებელი მიიღებს იმავე სახეობების და მოცულობის მომსახურებას, მათ შორის, დამატებით მომსახურებებს, რა მომსახურებებსაც მომხმარებელი ღებულობდა ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის, ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით სააბონენტო ნომრის პორტირებამდე.

16.2.9 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის, ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით განხორციელებული პორტირებისას სააბონენტო ნომერზე მიბმულ სააბონენტო ანგარიშზე დადებითი ბალანსის არსებობის შემთხვევაში, სააბონენტო ანგარიშზე გაუხარჯავი ფულადი თანხა მიმართული იქნება მიმღები ოპერატორის ამავე მომხმარებლის სააბონენტო ანგარიშზე, გადარიცხვის მომსახურების ხარჯების გამოკლებით.

16.3 პორტირების მოთხოვნები

16.3.1 სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორიდან, ან მომსახურების მიმწოდებლიდან ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების შემთხვევაში მომხმარებელმა ოპერატორთან უნდა წარადგინოს შევსებული პორტირების მოთხოვნის განაცხადი (შემდგომში განაცხადი). განაცხადის ფორმა, შინაარსი და მისი მიღების პირობები განისაზღვრება ოპერატორის მიერ. განაცხადი შესაძლებელია შეივსოს/წარდგენილ იქნას, ოპერატორის მიერ განსაზღვრული წესით.

16.3.2 მომხმარებლის მიერ ოპერატორთან წარდგენილ განაცხადთან ერთად მომხმარებელი ვალდებულია გააფორმოს ოპერატორთან ხელშეკრულება შესაბამისი მომსახურების მიწოდების შესახებ, მე-3 მუხლში განსაზღვრული პირობებით. აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლა დამოკიდებულია, მომხმარებლის მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სააბონენტო ნომრის ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში ფიზიკური პორტირების განხორციელებაზე და მის საფუძველზე ოპერატორის მიერ მომხმარებლის ქსელში ჩართვაზე ოპერატორის მიერ განსაზღვრული პირობებით.

16.3.3 მომხმარებლის მიზეზით ხელშეკრულების გაუფორმებლობა ან მომხმარებლის მიერ გაცხადებული უარი ხელშერკულების გაფორმებაზე, ნიშნავს მომხმარებლის უარს მიიღოს ოპერატორის მიერ შეთავაზებული მომსახურება და, შესაბამისად, ოპერატორს უფლება აქვს არ გაუწიოს მომხმარებელს პორტირების მოთხოვნის განაცხადის საფუძველზე მოთხოვნილი მომსახურება.

16.3.4 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში სააბონენტო ნომრ(ებ)ის პორტირების მოთხოვნის მიზნით განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ. უფლებამოსილ პირში იგულისხმება სააბონენტო ნომრის მართლზომიერი მფლობელი, რომელსაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დონორ ოპერატორთან მომსახურების მიღებაზე. სააბონენტო ნომრის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება დონორი ოპერატორის მიერ რეგისტრირებული მონაცემებით.

16.3.5 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების განაცხადი უნდა იქნეს წარდგენილი წინასწარ და მომხმარებლის მიერ განაცხადში უნდა განისაზღვროს პორტირების სასურველი თარიღი, ამასთან განაცხადის წარდგენის თარიღსა და ფიზიკური პორტირებისათვის განსაზღვრულ თარიღამდე ვადა არ შეიძლება იყოს 3 სამუშაო დღეზე ნაკლები. პორტირების პროცესის მიმდინარეობისას, მომხმარებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს მის მიერ განაცხადის საფუძველზე წამოწყებულ პორტირებაზე ოპერატორთან შესაბამისი განცხადების წარდგენის საშუალებით არაუგვიანეს ფიზიკურ პორტირებისათვის განსაზღვრულ თარიღამდე 1 სამუშაო დღით ადრე, ამასთან პორტირებაზე უარის შესახებ განცხადების წარდგენა უნდა განხორციელდეს იმავე გზით და საშუალებებით, რა გზითაც განხორციელდა განაცხადის წარდგენა.

16.3.6 პორტირების უზრუნველყოფის ტექნიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ოპერატორისგან დამოუკიდებელი პროცედურების განხორციელების ხასიათიდან გამომდინარე ოპერატორი არ იძლევა გარანტიას, რომ ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების მსურველი პირის წარდგენილი განაცხადის საფუძველზე პორტირება განხორციელდება იმ ვადაში, რა ვადაც მითითებულია პორტირების მსურველი პირის მიერ განაცხადში პორტირების სასურველ თარიღად.

16.3.7 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირების უზრუნველსაყოფად განაცხადი არ მიიღება, ანდა მიღებული განაცხადის საფუძველზე პორტირება არ განხორციელდება იმ შემთხვევაში თუ:

ა – განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის არასრული, უზუსტო, ყალბი, მცდარი, ან/და არ შეესაბამება განაცხადში მითითებულ სააბონენტო ნომერთან დაკავშირებით, დონორ ოპერატორთან შენახულ/რეგისტრირებულ ინფორმაციას;

ბ – სააბონენტო ნომერი, რომლის პორტირებასაც ითხოვს პირი, მართლზომიერად ეკუთვნის სხვა პირს, ან განაცხადი წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, ანდა სააბონენტო ნომრის მფლობელი დაუდგენელია;

გ – პორტირების მსურველ პირს უკვე წარდგენილი აქვს განაცხადი იგივე სააბონენტო ნომრის სხვა მიმღებ ოპერატორთან პორტირების თაობაზე;

დ – აბონენტად გახდომიდან ან სააბონენტო ნომრის უკანასკნელი პორტირებიდან არ გასულა 30 კალენდარული დღე;

ე – პორტირების მსურველ პირს, იმ სააბონენტო ნომერზე, რომლის პორტირებასაც ითხოვს, დონორი ოპერატორისგან მიღებულ მომსახურებაზე გააჩნია წინა თვის/თვეების დავალიანება, ანდა დავალიანების გამო შეზღუდული აქვს მომსახურების მიწოდება;

ვ – განაცხადში განსაზღვრული სააბონენტო ნომრის პორტირება/პორტირების განაცხადის გაუქმება შეუძლებელია ოპერატორის მიზეზის ან/და ბრალეულობის გარეშე.

16.3.8 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელიდან სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით, მომხმარებელი ვალდებულია, მიმღებ ოპერატორთან განაცხადის წარდგენამდე, დაფაროს სააბონენტო ნომერზე გასული საანგარიშო პერიოდ(ებ)ის შესაბამისად მიღებული მომსახურების საფასური (დავალიანება) და შეასრულოს ასევე ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი შეუსრულებელი, მათ შორის, ფულადი ვალდებულებები. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა, რომ პორტირების განხორციელების შემდგომ მომხმარებელს გააჩნია მიმდინარე დავალიანება ან სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები ოპერატორის მიერ პორტირებულ სააბონენტო ნომერზე მის მიერ პორტირებამდე გაწეული მომსახურებიდან, დავალიანებით გათვალისწინებული ფულადი თანხის დაფარვა და სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება მომხმარებლის მიერ უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს პორტირების დასრულებიდან 2 კვირის ვადაში. დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში მიმღებ ოპერატორს უფლება აქვს შეუზღუდოს აბონენტს მომსახურების მიწოდება.

16.3.9 ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში სააბონენტო ნომრის პორტირებისას მომხმარებელი აცნობიერებს და ადასტურებს რომ:

ა – განხორციელდება მხოლოდ სააბონენტო ნომრის გადმოტანა(პორტირება);

ბ – პორტირებისას შესაძლებელია არ მოხდეს სააბონენტო ნომერზე ჩართული დამატებითი მომსახურებების სახეების გადმოტანა და აღნიშნული მომსახურებები სააბონენტო ნომრის ოპერატორის ქსელში პორტირებისას შესაძლებელია გამოირთოს;

გ – ის მომსახურებები, მათ შორის, დამატებითი მომსახურებები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო დონორ ოპერატორთან შესაძლებელია მიმღებ ოპერატორთან არ იქნეს ხელმისაწვდომი, ანდა იყოს მხოლოდ ნაწილობრივ ხელმისაწვდომი;

დ – მომხმარებელს დონორ ოპერატორთან შესაძლებელია გააჩნდეს განსაზღვრული შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები, მათ შორის, ფულადი, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საკომპენსაციო ვალდებულებები დონორი ოპერატორის წინაშე და მომხმარებელი პასუხიმგებელი რჩება აღნიშნული ვალდებულებების თუ შესრულებაზე. აღნიშნული ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მომხმარებელს, პორტირებულ სააბონენტო ნომერზე, ოპერატორის მხრიდან შესაძლებელია შეეზღუდოს მომსახურების მიწოდება.

ე – მომხმარებლის მიერ ოპერატორთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენს საფუძველს, მომხმარებლისათვის ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში პორტირებული სააბონენტო ნომრის ოპერატორის ქსელში ჩართვის და მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად;

ვ – ოპერატორის ქსელში ჩართვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია აუცილებელი გახდეს და ოპერატორის მიერ მოთხოვნილი იქნეს დონორი ოპერატორის მიერ გამოყოფილი სიმ-ბარათის გამოცვლა ოპერატორის მიერ შეთავაზებული სიმ-ბარათით.

ზ – ის სააბონენტო მოწყობილობა, რომელსაც მომხმარებელი იყენებდა დონორი ოპერატორის მიერ შეთავაზებული მომსახურების მისაღებად, შესაძლებელია იყოს კოდირებული, ანდა ფუნქციონალურად არათავსებადი, შეუსაბამო, ანდა საჭიროებდეს პარამეტრების განახლებას ოპერატორის მიერ განსაზღვრული მომსახურებების მისაღებად და შესაბამისად მომხმარებელმა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ შეძლოს ოპერატორის ქსელში ჩართვა, ან/და მომსახურების მიღება.

17. პრეტენზიის წარდგენის წესები

17.1 მომსახურების არაჯეროვნად მიღებასთან, მომსახურების საფასურის დარიცხვასთან, ან ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით აბონენტი უფლებამოსილია პრეტენზიით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მიმართოს ოპერატორს. წერილობითი პრეტენზია/საჩივარი უნდა წარედგინოს/მიეწოდოს ოპერატორს ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N7, აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას ან ოპერატორის ნებისმიერი რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისს.

17.2 პრეტენზიაში აბონენტმა უნდა მიუთითოს თავისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, სააბონენტო ნომერი, ან საიდენტიფიკაციო კოდი, აბონენტის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და ის მომსახურება, რომელსაც ეხება პრეტენზია. პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რა მიაჩნია აბონენტს ოპერატორის მხრიდან არასწორ, ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება.

17.3 მომსახურების მიწოდება აბონენტს არ ეზღუდება/უწყდება პრეტენზიის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა წინამდებარე სტანდარტული პირობებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეზღუდვის/შეწყვეტის საფუძვლების არსებობისას.

17.4 აბონენტის მიერ წარდგენილი პრეტენზია ოპერატორის მიერ განხილული იქნება ოპერატორის მიერ დადგენილი და დამტკიცებული წესების მიხედვით, შესაძლებელ უმოკლეს ვადებში, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარდგენილ პრეტენზიაში ასახული ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მოთხოვნების სირთულეზე, მაგრამ არა უგვიანეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებისა. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პრეტენზია არ აკმაყოფილებს 17.2 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს, საჭიროებს დაზუსტებას, ან/და სათანადო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო შეუძლებელია მისი განხილვა, აბონენტს განესაზღვრება ვადა აღნიშნული ხარვეზის შესავსებად და ხარვეზის შევსების შემთხვევაში განახლდება მისი განხილვა. ხარვეზის შევსებისათვის განსაზღვრული ვადა განხილვის ვადაში არ შედის. წარდგენილი პრეტენზიის განხილვის დასრულების შემდგომ ოპერატორი წყვეტს პრეტენზიის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების საკითხს და წერილობითი შეტყობინების სახით უგზავნის აბონენტს. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში ოპერატორის გადაწყვეტილება აბონენტს შესაძლებელია ეცნობოს ზეპირად, თუ აბონენტი არ მოითხოვს გადაწყვეტილების წერილობითი სახით მიღებას.

17.5 იმ შემთხვევაში თუ აბონენტი არ ეთანხმება ოპერატორის გადაწყვეტილებას მის პრეტენზიასთან დაკავშირებით, მას შეუძლია გადაწყვეტილების შესახებ ოპერატორის შეტყობინების მიღების შემდგომ დავის გადასაწყვეტად იმოქმედოს 18.8 პუნქტის შესაბამისად.

18. დასკვნითი დებულებები

18.1 წინამდებარე სტანდარტული პირობები შესაძლებელია ითარგმნოს სხვა ნებისმიერ ენაზე. აღნიშნულ შემთხვევაში ნებისმიერ სხვა ენაზე ნათარგმნ პირობებთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება სტანდარტული პირობების ქართულ ვერსიას წინამდებარე რედაქციით.

18.2 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პირობებიდან რომელიმე გაუქმდება, გამოცხადდება ძალადაკარგულად, ან მიიჩნევა ბათილად, ეს შეეხება მხოლოდ აღნიშნულ პირობას და გავლენას არ იქონიებს სხვა პირობების ნამდვილობაზე.

18.3 იმ შემთხევაში, თუ მოქმედი კანონმდებლობით, ზოგიერთი კატეგორიის აბონენტისათვის გათვალისწინებულია და გამოიყენება წინამდებარე სტანდარტული პირობებისაგან განსხვავებული პირობები და წესები, მაშინ გამოყენებული იქნება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ის არეგულირებს წინამდებარე სტანდარტული პირობებით დარეგულირებულ ურთიერთობას.

18.4 აბონენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ გარდა წინამდებარე სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ქონებრივი პასუხისმგებლობისა, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების, პირობების, ან/და მოთხოვნების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ასევე ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

18.5 თუ სხვაგვარად არ არის ოპერატორის მიერ განსაზღვრული, აბონენტსა და ოპერატორს შორის ნებისმიერი ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაციო მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ისევე როგორც შეტყობინებები ოპერატორის მიერ აბონენტის მიმართულებით იგზავნება ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ტრანსლიტერირებული ლათინური ასოებით. შეტყობინებები, რომლებიც იგზავნება ოპერატორის მიერ აბონენტთან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული შეტყობინებით, ანდა ფაქსით მიღებულად მიიჩნევა შესაბამისად არა უგვიანეს ოპერატორის მიერ აბონენტის სააბონენტო ნომრის, ელექტრონული საფოსტო მისამართის ან/და ფაქსის ნომრის მიმართულებით გაგზავნის დღის შემდეგ დღეს.

18.6 აბონენტის მხრიდან წერილობითი შეტყობინებები, ისევე როგორც ნებისმიერი განცხადებები, განაცხადები, პრეტენზიები, წინადადებები, მიმართვები ოპერატორს უნდა მიეწოდოს/წარდგენილი იქნეს/შეივსოს მხოლოდ სამუშაო დღეების სამუშაო საათებში, ოპერატორის ადმინისტრაციულ ან ოპერატორის ნებისმიერი რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისში. აღნიშნული წერილობითი შეტყობინება მიღებულად მიიჩნევა ოპერატორის წარმომადგენლის მიერ, ოპერატორის მიერ განსაზღვრული ფორმით დადასტურების მომენტიდან. წერილობითი შეტყობინებების, განცხადებების, პრეტენზიების, წინადადებების, მიმართვების მიღების დადასტურება გულისხმობს ოპერატორის წარმომადგენლის მიერ შეტყობინების ასლზე ან შეტყობინების მიღების საამისოდ შედგენილ ფორმაზე ხელმოწერას და ბეჭდით დამოწმებას.

18.7 ამ სტანდარტული პირობების მიზნებისათვის ოპერატორის სამუშაო დღეებია წელიწადის ყოველი კალენდარული დღე, უქმე და არასამუშაო დღეების გარდა.

18.8 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მხარეებს შორის უთანხმოების ან დავის წარმოშობისას, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად შესაძლებელია გადაეცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) ან სასამართლოს (საქართველოს საერთო სასამართლო).

18.9 მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აბონენტის მხრიდან წარმოქმნილ ფინანსურ ვალდებულებებზე.